




ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2019

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
კონსტანტინე შარაშენიძე



შესავალი

ანგარიში შედგენილია: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, მათ შორის 88-ე მუხლის -„მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა“ შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს, მათ შორის მუხლის 28-ს მე-2 პუნქტის, მუხლი 37-ს მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად; მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაცვით.

ანგარიშში წარმოდგენილ საკითხთა სტრუქტურა:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ეკონომიკის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
- არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების საქმიანობის დეტალური ანგარიში.
- 2018-2019 წლის შედარებითი ანალიზი.

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი ვექტორი ფოკუსირებული იყო ისეთ პრიორიტეტებზე, როგორცაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამების გაფართოება, სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებული პრობემების გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, კულტურული ცხოვრების, სპორტის, ტურიზმის განვითარება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ შესაბამისი კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებების ფინანსური მხარდაჭერა.

მუნიციპალიტეტის მერიის მიზანი იყო ქალაქსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურის განვითარება, რისთვისაც საჭირო გახდა მოსახლეობის ჩართულობით მათზე მორგებული, გრძელვადიანი პროექტების განხორციელება, რომელთა ნაწილი მოკლე ვადაში დასრულდა, ნაწილი კი მოიცავს ეტაპებს და 2020 წელს გაგრძელდება.

ბიუჯეტი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 186 800 ლარით.

ჩემთვის, როგორც მუნიციპალიტეტის მერისთვის ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

თქვენ, როგორც ამომრჩევლებს გაქვთ უფლება ფლობდეთ ამომწურავ ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ და უფრო მეტიც, მონაწილეობას იღებდეთ მის ფორმირებაში.

2019 წლის 11 თვის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება:

- I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებით ცვლილება შევიდა სოციალური პროგრამებიდან დახმარებების გაცემის წესში.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის №8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2018 წლიდან გარდამავალი ნაშთებით და საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ნოემბრის # 20 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 7 648 426,55 ლარით, მ.შ. საკუთარი შემოსავლები 851300 ლარით, დანარჩენი 6 797 126 ლარი საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები.

წლის დასაწყისიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა **23 803 100** ლარით. ამდენად, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 47 989 900 ლარით.

✓ ბიუჯეტის შემოსულობები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 წელს მიღებულმა ტრანსფერებმა და გრანტებმა ჯამში 15 593 600 ლარი შეადგინა. მათ შორის:

ევროკავშირის გრანტი - 15 600 ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი - 253 000 ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა -- 1 074 000 ლარი

ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 1 523 200 ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 9 697 800 ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ - 3 030 000 ლარი;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა **7 409 887,7** ლარი. მათ შორის:

1. საკუთარი ნაშთი - **5 021 666,80** ლარი;
2. ევროკავშირის გრანტის ნაშთი - **41295,79** ლარი;
3. მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - **20 454,78** ლარი;

დანარჩენი 2 326 470,33 ლარი საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებით გამოყოფილი : სოფლის პროექტების, რეგიონალური პროექტების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსაზღვრული თანხები.

თქვენთვის, როგორც ამომრჩევლებისთვის ყველაზე საინტერესო და აქტუალური საკითხია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელიც შეადგენს 39 306 500 ლარს.

✓ 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 4 658 000 ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5380 000 ლარი) 87 %;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 129 000 ლარი წლიური გეგმის (გეგმა 143 000 ლარი) 90,20 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსებამ შეადგინა 23 387 300 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 29 794 800 ლარი) 78 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5 662 100 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6 236 300 ლარი) 91 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების, ღონისძიებების ახალგაზრდული და რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებამ შეადგინა 4 131 500 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4 543 400 ლარი) 91 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 1 338 600 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1 892 400 ლარი) 71 %;

31 დეკემბრამდე პრიორიტეტების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 100 % -ს მიაღწევს.

2019 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 350 000 ლარი

სარეზერვო ფონდიდან უშუალოდ ჩემი გადაწყვეტილებით 1000 -მდე ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება.

სოციალური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან მოქმედებს ელექტრონული ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული, ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ საშუალებას იძლევა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

2019-2020 წლების შედარებითი ანალიზი.

2020 წლის დასაგეგმი ბიუჯეტი 2019 წლის ანალოგიური პერიოდის ბიუჯეტთან შედარებით 2 024 800 ლარით მეტია.

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსებამ შეადგინა 7 257 900 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 151 700 ლარით აღემატება.

საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 4 800 000 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 800 000 ლარით მეტია, ეს თანხა დაემატა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსებას, და ამ თანხაში გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების პერსონალის ხელფასის ზრდა.

სპორტული და კულტურული ობიექტების, ღონისძიებების, ახალგაზრდული და რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება 494 100 ლარით მეტია 2019 წლის დაფინანსებასთან შედარებით.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოსახლეობისთვის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 104 500 ლარით. ეს შეეხო, ძირითადად, ისეთ პროგრამებს როგორცაა :

სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება.

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება

ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება.

აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს უკვე წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 26 211 600 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება.
2. დასუფთავება, გარემოს დაცვა.
3. განათლება
4. კულტურა, ახალგაზრდული საქმეები.
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პაკეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი

მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს კომპონენტი იძენს ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

ჩართულობის მექანიზმების გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობა. სწორედ ამიტომ დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი!

სიახლე, სატესტო ეტაპზე, მხოლოდ ქალაქ ოზურგეთს მოიცავს.

პროგრამის ბიუჯეტი 150 000 ლარია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდზე, ქალაქ ოზურგეთში რეგისტრირებულ მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აეტვირთათ საპროექტო განაცხადები, რომელიც უნდა შეხებოდა ქალაქში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემას და მისი გადაჭრა უშუალოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაა.

შემოსული განაცხადები გადაირჩა და გამოქვეყნდა ამავე პორტალზე, ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენა მოხდა პროექტის ღირებულებისა და მიღებული ხმების საფუძველზე დადგენილი შესრულების კოეფიციენტის საშუალებით.

პროექტები დაფინანსდება თანმიმდევრობით, რიგითობისა და პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით.

კენჭისყრაში მონაწილეობა ქალაქ ოზურგეთში რეგისტრირებულმა 4 499 - მა მოქალაქემ მიიღო.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში 3 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა!

1. ოზურგეთში, გ. ეპისკოპოსის ქუჩა N25-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.

2. ქალაქ ოზურგეთში, (ანასეულში) მეცნიერების ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობა.

3. ლაშეს სტადიონის კეთილმოწყობა.

პროექტის განმახორციელებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ ერთად. აღნიშნული საპილოტე პროექტის მაგალითზე მოსახლეობის ჩართულობით, ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების განკარგვის უნიკალური მოდელი შეიქმნა.

არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური საქმიანობას წარმართავს არსებული კანონმდებლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სამუშაო გეგმის თანახმად.

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტებისვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 8 584 867 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით (468 565 ლარი) განხორციელდა 600 ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი.

მოასფალტდა 22 272 მ. გზა - ჯამური ღირებულებით 6 743 467 ლარი.

მოეწყო ბეტონის გზები - ჯამური სიგრძით 12 946 მ. საერთო ღირებულებით 1 351 800 ლარი.

• დაბა ლათური 250 მ. • დაბა ნარუჯა 300 მ. • დაბა ნასაკირალი 350 მ. • დაბა ურეკი 100 მ. • ასკანა 300 მ. • ბაილეთი 270 მ. • ბახვი 1 521 მ. • გურიანთა 200 მ. • ვაკიჯვარი 30 მ. • კონჭკაითი 1 400 მ. • ლიხაური 500 მ. • მაკვანეთი 810 მ. • მერია 865 მ. • ნაგომარი 100 მ. • ნატანები 1 210 მ. • სოფ. ოზურგეთი 90 მ. • სილაური 735 მ. • ცხემლისხიდი 100 მ. • ძიმითი 210 მ. • ჭანიეთი 730 მ. • ჯუმათი 732 მ. • შრომა 2 143 მ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფლის პროგრამით განხორციელდა 300-მდე პროექტი.

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში ქუჩების: (მაიაკოვსკი, გურიელი, ანდლულაძე, კოსტავას ქუჩაზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სავალი ნაწილის) რეაბილიტაციის სამუშაოები - 731. გრძ.მ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, ღირებულებით - 265 563 ლარი.
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების (26 მაისის ქუჩა, თაყაიშვილის II ჩიხი, გაბრიელ ეპისკოპოსის შესახვევი) რეაბილიტაციის სამუშაოები - 353 გრძ.მ. ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა - ღირებულებით 121 871 ლარი.
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების: დავით აღმაშენებლის ქუჩის II ჩიხი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩის I შესახვევი, კიტა მეგრელაძის ქუჩიდან შ.პ.ს. „დენიმ“-ის შესასვლელამდე, გრიბოედოვის ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია -1425 გრძ.მ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა. ღირებულება - 399 589 ლარი.
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში (ვაჟა-ფშაველას, გიორგი სალუქვაძის, ჯანაშიას ქუჩების, გურიის ქუჩაზე მდებარე შპს „იმედის“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე -607 გრძ.მ. ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, ღირებულება 211 411 ლარი.
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში (შევჩენკო, პუშკინი, ყაზბეგი) ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები - 969 გრძ.მ. ღირებულება - 288 876 ლარი.
- დასრულდა სოფელ დვაბზუს ცენტრიდან სოფელ ბოხვაურის სასაფლაომდე 1 387 გრძ.მ. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულება 343 960 ლარი.
- დასრულდა ოზურგეთი ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით 4198 გრძ.მ. გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ღირებულება - 1 469 164,35 ლარი.
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე - 2 267 გრძ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, ღირებულება 1 018 102 ლარი.
- დასრულდა ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით 5 667 გრძ.მ. გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულება - 1 893 763.58 ლარი;
- გარდამავალი პროექტია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ეკალდიდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი 6 032 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 2 358 999 ლარი.
- სრულდება სოფელ ცხემლისხიდი-ვაკიჯვარის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის (1 662 გრძ.მ.) სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 729 999 ლარი.
- სრულდება ოზურგეთი-ნატანები-ურეკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფელ ხვარბეთის გავლით კონჭკათის საზღვრამდე დამაკავშირებელი 4 868 გრძ.მ. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულება - 977 777 ლარი;
- სრულდება გაღმა დვაბზუ - ბახვის ცენტრალურ გზამდე 2 260 გრძივი მეტრი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ღირებულება - 738 992 ლარი;
- დასრულდა ქ. ოზურგეთში გურამიშვილის ქუჩის მიერთებისა და წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარის ორმული შეკეთები სამუშაოები ჯამური ღირებულებით 42 918 ლარი.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში დასრულდა შიდა საუბნო გზაზე საყრდენიკედლის და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 47 845 ლარი.
- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩის სამი ჩიხისა (II, IV და გამსახურდიას ჩიხის, ასევე, ჯავახიშვილის ქუჩის პირველი შესახვევის გზის საფარის რეაბილიტაცია. ღირებულებით - 84 775 ლარი.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში დასრულდა საუბნო გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულება - 95 548 ლარი.
- ქ. ოზურგეთში, აღმაშენებლისა და თაყაიშვილის ქუჩებზე ჩიხების, ასევე ლერმონტოვის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით - 75 184 ლარი.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეთში შიდა გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 221 944 ლარი.

- სოფელ ნატანების ცენტრიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ღირებულებით - 278229 ლარი;

გზების მოწესრიგებასთან ერთად მუნიციპალიტეტი ზრუნავს მგზავრთა და ქვეითა უსაფრთხო გადაადგილებაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე:

- მოეწყო ქ. ოზურგეთში, გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაში ორი ერთეული ერთსექციანი ციმციმა შუქნიშანი.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დამონტაჟდა 68 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერა და განთავსდა თვალსაჩინო ადგილას სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები. მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელოვნური ნაგებობის - სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით - 40 000 ლარი.

- დასრულდა მაკვანეთი - ლიხაურის საავტომობილო გზაზე მდინარე აგიდაყვაზე დაზიანებული ხიდისა და მისასვლელების, სოფელ ოზურგეთში მდინარე ნატანებზე დაზიანებული ხიდის და ქ. ოზურგეთში კ. მეგრელაძის ქუჩის დასაწყისში ასფალტ-ბეტონის საფარის შეკეთების სამუშაოები ღირებულებით - 72 679 ლარი.

- მოეწყო საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდა სახელმწიფოებრივი გზაზე გარე განათების 200 ლამპიონი. აღნიშნული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 495 841 ლარით დაფინანსდა, ახალი განათების სისტემა დამონტაჟდა სოფელ შრომაში (ჩირეს უბანი) ღირებულებით - 11 364 ლარი.

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ოზურგეთში (9 აპრილის, პეტრიწის, ჭავჭავაძის და გურიის ქუჩებს) ამორტიზირებულ ტროტუარებს ღირებულებით - 147 366 ლარი.

- ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო და რეაბილიტირდა ათამდე სხვადასხვა სპორტული ობიექტი. კერძოდ, დასრულდა ქ. ოზურგეთში, მალაზონიას ქ. N8-ში მდებარე მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. ღირებულებამ შეადგინა 31 110 ლარი.

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის N27-ში მდებარე სპორტული დარბაზს. ღირებულებით 60 960 ლარი, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის ოზურგეთის სპორტის სასახლეს - ღირებულებით 36 488 ლარი.

ოზურგეთში ოლიმპიური სახლს - ღირებულებით 51 468 ლარი, ქ. ოზურგეთში, კიტა მეგრელიძის ქუჩაზე აშენდა ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ღირებულებით 111 466 ლარი, ასევე, ქ. ოზურგეთში, ჯორჯიამვილის ქუჩაზე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ღირებულებით 59 104 ლარი.

- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში ბაქრაძის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 62 826 ლარი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკრეაციული ადგილების მოწყობა-მოწესრიგებას. ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები:

ქ. ოზურგეთში, კეთილმოეწყო გურამიშვილის ქ. N7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზო, გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერი, რომელთა ღირებულებაა - 84 584 ლარი. ასევე, ფარნავაზ მეფის ქ. No127-ში მდებარე 9 სართულიანი სახლის ეზო, ღირებულებით 112 329 ლარი და სიორიძის No22-ში მდებარე 5 სართულიანი სახლის ეზო - 103 259 ლარი.

- ჩატარდა ქ. ოზურგეთში, თენგიშვილის ქ. N4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს და ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ღირებულებით 39 600 ლარი;

- მოეწყო თენგიშვილის ქ. N6-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს წყალარინების სისტემა, ღირებულება - 54 094 ლარი და სიორიძის ქუჩა N22-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სასმელი წყლის სისტემა ღირებულებით 11 940 ლარი;

- შეძენილი იქნა ჭავჭავაძის ქუჩაზე სკვერისთვის 10 000 ლარის ღირებულების ატრაქციონები.

- რეაბილიტირდა ქალაქ ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში დენდროლოგიური პარკი.

- მუნიციპალიტეტმა საკუთარი ბიუჯეტიდან 1 268 739 ლარით დააფინანსა ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში, კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც 2020 წლის მარტის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი სახსრებით ჩატარდა ოზურგეთში, ლერმონტოვის და შევარდნაძის ქუჩებზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 16 060 ლარი.

- სოფელ კვირიკეთში დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, გახარჯულია 67 706 ლარი.

- სოფელ ნაღობილევი მოეწყო სასმელი წყლის სისტემა გახარჯულია - 154 757 ლარი.

- ძიმითის ადმინისტრაციულ ერთეულში, „კობი“-ს უბანში შესრულდა დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 18 900 ლარი;

- გადაიხურა ა. (ა.) ი. პ. ჯ. დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის „გურია“-ს შენობა, ღირებულებით 26 979 ლარი;

- რეაბილიტაცია ჩატარდა თენიეშვილის ქ. N12-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, გაიხარჯა - 148 127 ლარი;

- დასრულდა დაბა ნასაკირალში N 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 75 აღსაზრდელზე არის გათვლილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 458 413 ლარი.

- სარემონტო სამუშაოები ჩატარდა რუსთაველის ქ. 24-ში მდებარე სამხედრო ადრეცხვის, გაწვევის და მობილიზაციის შენობაში.

- სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დაბა ანასეულის N7, N1, N2, N3, N4, N9 და ა.ა.ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღრზდის ცენტრის შენობებში, გახარჯულია - 32 089 ლარი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

- დაბა ნასაკირალში ჩატარდა ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 47 997 ლარი;

- გურიის ქ. 35-ში მდებარე „სოფლის ნობათი“-ს ტერიტორიაზე, მდინარე ნაბჟუარაზე, სტიქიის მიერ დაზიანებული კედლის და ხიდის სვეტების გამაგრების სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 105 868 ლარი.

- მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვირიკეთში მდინარე ბჟუჟის გასწვრივ, იპოდრომთან 543 გრძ.მ გაბიონის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 584 989 ლარი და სოფელ მთისპირის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 41 364 ლარი;

- სრულდება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებით, სტიქიის პრევენციისთვის გამოყოფილი სამუშაოები, კერძოდ, დაბა ურეკში აკაკი წერეთლის ქუჩაზე 460 გრძ.მ სანიაღვრე არხის კედლის რკინა-ბეტონით მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 169 196 ლარს.

- დასრულდა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, ასევე ქალაქ ოზურგეთში, 2019 წლის 28 სექტემბერს სტიქიის შედეგად ჩამოშლილი და დამეწყრილი გზების მონაკვეთების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრების რეაბილიტაციის, გასწორხაზოვნებითი და სახიდე გადასასვლელების გამაგრებითი სამუშაოები. გახარჯულია - 34 000 ლარი;

- შეძენილია 30 207 კვ.მ მავთულბადე, 3 497 კვ.მ მზა ბეტონი და 6 295 კვ.მ ინერტული მასალა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 741 401 ლარი, რითაც მოსახლეობის ჩართულობით დაიგო ბეტონის საფარიანი გზა;

- მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წელს შეძენილი იქნა ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი, მრავალფუნქციური ტრაქტორი - ღირებულებით 219 000 ლარი, ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი JCB 4CX Eco Sitemaster ღირებულებით 213 838 ლარი და ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა - თვითმცლელი, კამაზის მარკის - ღირებულებით 169 595 ლარი;

- მიმდებარე საცხოვრებელ პირობებში მყოფი და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის შექმნილი იქნა სხვადასხვა სახის სამშენებლო სახურავის მასალები, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 685 664 ლარს, დაკმაყოფილდა 155-მდე ოჯახი.
- გადაიხურა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ღირებულებით 17 997 ლარი;
- შექმნილი იქნა თენიეშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლების მოთხოვნით სენსორული ნათურები.
- სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის შექმნილი იქნა წყლის მილები, ტუმბოები, ავზები და სასაფლაოების შესაღობად ე.წ. ეკლიანი მავთულები;
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სოფელ ჯუმათის წყალსადენის სათავე ნაგებობას, ღირებულებით 43 260 ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები - ღირებულებით 25 213 ლარი;
- გადაიხურა ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქუჩის N26-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი, ღირებულებით 18 117 ლარი;
- ჩატარდა თენიეშვილის ქ. N4-სა და ჟღენტის ქ. N4-ში მრავალსართულიანი სახლების სასმელი წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 6 649 ლარი;
- ასევე მოეწყო დაბა ნასაკირალში, მე-3 რაიონში, მოსაცდელთან სველი წერტილი გაიხარჯა 3 277 ლარი;

წყალმომარაგება

ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით წყალმომარაგების სამუშაოები განხორციელდა 20 სოფელში ჯამური ღირებულებით 487 523 ლარი, სასმელი წყლით უზრუნველყოფილია 6 631 ბენეფიციარი.

დასრულდა: ჯუმათის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ნაღობილევის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, დაბა ურეკის ტერიტორიულ ერთეულში დაზიანებული წყალმომარაგების ქსელის აღდგენისათვის საჭირო მასალების შესყიდვა. მიმდებარე ადმინისტრაციულ ერთეულში, „კოხი“-ს უბანში დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, სილაური – მილების შესყიდვა, შრომა – ხრიალეთი ბაღის წყლის სათავანის მოწყობა, გურიანთაში (ციხისფერდი) ჭაბურღილის მოწყობა, თხინვალში საბავშვო ბაღის წყალმომარაგება, მერია (ჭახვათა) ჭაბურღილის რეაბილიტაცია, მთისპირის თემის ტერიტორიულ ერთეულში (ვანისქედში) დაზიანებული წყალმომარაგების ქსელის აღდგენისათვის საჭირო 1200 გრძ.მ. მილის შესყიდვა, შემოქმედში (ბაღი) წყალმომარაგების მოწესრიგება, სოფელ ძიმითში (ნასაკირალი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მიმდებარე (ცენტრი) წყალმომარაგება, კვირიკეთში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, ნასაკირალის თემის ტერიტორიულ ერთეულში დაზიანებული წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ შემოქმედში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, მაკვანეთისათვის წყალსადენის მილების შექმნა, დაბა ნასაკირალის N2 საბავშვო ბაღის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად სხვადასხვა მასალების შესყიდვა და მოწოდება.

გაზიფიცირება

გაზიფიცირების სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა სოფლის 44 უბანში.

ბუნებრივი აირი მიეწოდება 13 455 ბენეფიციარს.

სანიაღვრე არხები

ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოეწყო 503 მ. სიგრძის სანიაღვრე არხი ჯამური ღირებულებით 206 888 ლარი.

სკოლების რეაბილიტაცია

- 2019 წლის 08 თებერვლის N207 საქართველოს მთავრობის განკარგულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 010 000 ლარი. რომლის ფარგლებშიც რეაბილიტაცია ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლას. ახალი, ულტრატანამედროვე სკოლის მშენებლობა დაიწყო დაბა ნასაკირალში.

ამბულატორიები

- 2019 წლის 02 ივლისის N1510 საქართველოს მთავრობის განკარგულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოეყო 1 164 118 ლარი.
 - ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩატარდა დაბა ნასაკირალში, კონჭკათში, ჭანიეთში, გურიანთაში, ბაილეთში, შემოქმედში, ბოხვაურში, ნარუჯაში, ნატანებსა და დაბა ურეკში. გაიხარჯა 312 189 ლარი.
 - ქ. ოზურგეთში “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი” – ს მშენებლობის სამუშაოების შესყიდვამ შეადგინა 368 485 ლარი.
 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტს “ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს გამოეყო 1 074 000 ლარი.
 - მოსახლეობის მიერ დასმული პრიორიტეტების შესაბამისად მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 200-ზე მეტ პროექტზე, რომელთა უმეტესობე დასრულებულია.

ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით მომზადდა საპროექტო წინადადებები. მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა.

2020 წელს იგეგმება:

1. ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით
2. ბოგილას გზის რეაბილიტაცია (1468 გრძ.მ)
3. ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის (ეკალდიდი)-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4 030 გრძ.მ).
4. ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაცია.
5. შემოქმედის ცენტრიდან მონასტერთან და სასაფლაოსთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ნაღობილევის (N4 უბანში) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
7. შეკვეთილში შიდა გზების მოწყობის სამუშაოები(მეორე ეტაპი).
8. კურორტ ურეკის შემოვლითი გზის(უსკალეიკის) გზის რეაბილიტაცია.
9. სოფელი შრომა(ჩირე) ურეკი გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
10. საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდა სახელმწიფოებრივი გზის კმ 44-დან სოფელ ბოხვაურის ცენტრის გავლით შემოქმედი-ცხემლისხიდის დამაკავშირებელ გზამდე გზის რეაბილიტაცია.
11. სოფელ მთისპირი-ასკანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
12. ასკანის თემში, სოფელ მზიანის შიდა გზის რეაბილიტაცია.
13. ნატანების სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია.
14. ლიხაურში აჭის საუბნო გზის რეკონსტრუქცია.
15. კოსტავას ქუჩის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.
16. ჭადრაკის სკოლის შენობის რეაბილიტაცია.
17. ქ. ოზურგეთში ერისთავის ქუჩის, გურიის ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩამდე ტროტუარის მოწყობა.
18. გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის ტროტუარის რეაბილიტაციის სამუშაო.
19. პირველი სკოლის მიმდებარედ კიბის მოწყობა.
20. სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) გურიის ფუტზალის და საპლაჟო ფეხბურთის ფედერაციის სპორტული მოედნის მოწყობა.
21. საგზაო სასწორების შექმნა (2 ერთეული).
22. ქ.ოზურგეთში გ.ეპისკოპოსის ქუჩის (დოლიძის ქუჩის კვეთიდან ერისთავის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა (ფილებით).
23. სოფელ ლიხაურის ცენტრალური გზაზე გარე განათების მოწყობა.
24. გრიბოდვოს ქუჩაზე ახალი სკვერის მოწყობა (N21-ის მიმდებარედ).
25. ვიქტორ დოლიძის ქუჩა N13-N15-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოს კეთილმოწყობა.
26. კოსტავას ქ.N2 და N4-ის ეზოს კეთილმოწყობა.
27. ქ. ოზურგეთი იოანე პეტრიწის N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს მოწყობა.
28. ოზურგეთის დ.ადამაშენებლის ქუჩაზე 2 სართულიან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის №165 და №177-მდე ეზოს კეთილმოწყობა.
29. ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილის ქ. 14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა.
30. ნარუჯის ე.წ ფაბრიკის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა.
31. მეცნიერების ქუჩა N14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
32. უნივერსიტეტის ქუჩა N12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
33. თენიეშვილის ქ.N4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის 2019 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია - 1 720.900 ლარით;

სამსახური 2019 წელს ახორციელებდა - 18 სახის პროგრამას.

მიმდინარე წელს სოციალურ საკითხთა განყოფილებამ განიხილა 2 439 განცხადება;

1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა: ბიუჯეტი 413 400 ლარი.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან, სამუშაო ჯგუფმა განიხილა და დააკმაყოფილა 105 ოჯახი. მათ შორის ერთ ოჯახს გამოეყო თანხა 6 000 ლარი საცხოვრებელი სახლის შესაძენად, ხოლო 99 ოჯახს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით.

ბინის ქირით მოსარგებლეა - 49 ოჯახი, სულ ქირით უზუნველყოფისთვის გაიხარჯა - 51 689.90 ლარი.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანი: მრავალშვილიან ოჯახთა ფინანსური დახმარება. ყოველთვიური დახმარება ეძლევათ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს.

პროგრამის ბიუჯეტი: 145 000 ლარი. გაცემული თანხა შეადგენს 42 200 ლარს. ოჯახების რაოდენობა 40.

3. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანი: უდედმამო ობოლი ბავშვების მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით, წელიწადში 4 ჯერ.

ბიუჯეტი 9 000 ლარი. ბენეფიციარების რაოდენობა - 11. გაცემული თანხა - 8500 ლარი.

4. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში. დახმარება გაიცემა ყოველკვარტალურად 150 ლარის ოდენობით.

პროგრამის ბიუჯეტი 25 000 ლარი. გაცემული თანხა 18 600 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა- 47

4. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა დახმარების პროგრამა: ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 213 900.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეები (უსინათლოები) ერთჯერადად კმაყოფილდებიან ფინანსური დახმარებით - 250 ლარის ოდენობით, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები - 100 ლარის ოდენობით; 6-დან 18 წლამდე შშმ. პირების დახმარება - (ჰიგიენური საშუალებებით) თვეში - არაუმეტეს - 60 ლარი; ფინანსდება საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“.

ბიუჯეტი 213 900 ლარი. გაცემული თანხა - 100 200 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა (პირველი ჯგუფის შშმ პირთა მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის) - 85 ბენეფიციარი, პირველი ჯგუფის შშმ პირთა დახმარება - 181 პირი - 18 100 ლარი; შშმ. პირი- 6 დან 18 წლამდე ბავშვების დახმარება - 19 ოჯახი - ასოციაცია „გურია“- 403 08.80

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 13 000 ლარს, გაცემული თანხა შეადგენს- 8700 ლარს. ბენეფიციართა რაოდენობა- 43 (მათ შორის - 2 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დახმარება- 250 ლარით).

პროგრამის მიზანია: დევნილთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება სათბობით უზრუნველყოფის მიზნით. ფინანსური დახმარება- 200 ლარის ოდენობით, გარდაცვალების შემთხვევაში- 250 ლარის ოდენობით.

7. სარიტუალო დახმარების პროგრამა. (ომის ვეტერანები და უპატრონო მიცვალებულების დახმარება) ბიუჯეტი 18 000 ლარი, გაცემული თანხა 6500 ლარი, ბენეფიციართა რაოდენობა-13.

8. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან ერთ წლამდე) მოვლისათვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისთვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 50 000 ლარი. გაცემული თანხა -40 600. ბენეფიციართა რაოდენობა- 42

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების დახმარებას, რომელთა სარეიტინგო ქულაა- 0-დან 70.000 ჩათვლით, ბავშვის 1 წლის ასაკის შესრულებამდე, ბავშვის მოვლის და საკვების შესაძენად ფარმაცევტული დაწესებულებიდან.

9 . დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა („მომავლის სხივი“)

შედეგი: პროგრამით ფინანსდება 6-18 წლამდე - 22 ბავშვი (ერთი ბენეფიციარი თვეში 150 ლარის ოდენობით), „მომავლის სხივი“ს დღის ცენტრის მომსახურებით.

ბიუჯეტი 45000 ლარი. გაცემული თანხა -28300 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა 22 (შემძენილი იქნა გამათბობელი საქვაბე- 2700 ლარის ღირებულების)

10. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობის პროგრამა.

ბიუჯეტი 20 000 ლარი. გაცემული თანხა- 6300 ლარი.

11. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის მიზანია: მძიმე სოციალური პირობებში მყოფი ოჯახების უფასო კვებით უზრუნველყოფა.

ბიუჯეტი - 118 500ლარი. გაცემული თანხა - 85700. ბენეფიციართა რაოდენობა 180.

12. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა. (ბუნებრივი აირის საფასური)

პროგრამის ბიუჯეტი 13 100 ლარი. გაცემული თანხა- 8200 ლარი.

13. სოციალური ღონისძიებების პროგრამა:

პროგრამის ბიუჯეტი 62 000 ლარი. გაცემული თანხა - 30 046.03 ლარი.

3 მარტი - დედის დღე - 47 – 4 700 ლარი.

9 მაისი - ფაშინიშვილები გამარჯვების დღე - 4 - 2000 ლარი

100 და მეტი წლის ხანდაზმულთა 2 -

1000 ლარი

27 სექტემბერი

9 500

სხვა დაუგეგმავი ღონისძიება

ჩუბური პროექტის „საქართველოს კარიტასის“ შინამოვლის პროგრამით გახარჯულია-7693 (შვოდოთასექსასოთხმოდცადამეტი)ლარი. პროგრამით სარგებლობს 42 ბენეფიციარი.

მერის სარეზერვო ფონდი

მოქალაქეებმა, რომლებმაც განცხადებით მომართეს მუნიციპალიტეტის მერიას სამედიცინო მომსახურების, ოპერაციული მკურნალობის, ძვირადღირებული მედიკამენტების, ერთჯერადი ფინანსური დახმარებისთვის, სარიტუალო ხარჯის დაფინანსების მიზნით და ვერ იპოვებდნენ დახმარების მიღების უფლებას ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამებით, მათი დახმარების საკითხი განხილული და დაკმაყოფილებული იქნა მერის სარეზერვო ფონდიდან.

ბენეფიციართა რაოდენობა 120 ოჯახი.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

კულტურის განყოფილება

კულტურული ღონისძიებებისთვის 2019 წელს ბიუჯეტიდან გამოიყო 200 300 ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, ასევე ა.ა.ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების” ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები:

- ძველით ახალი წელი „კალანდა-2019“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიდეში საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა;
- „შობის ქალაქის“ ღონისძიებების ფარგლებში ბავშვებისათვის გაიმართა კონცერტები, მოეწყო თოჯინების თეატრის წარმოდგენები, ფოტო სესიები, საახალწლო კომპოზიციები, გაიმართა საახალწლო ბაზრობა და უფასოდ იმუშავა ატრაქციონებმა;
- შობის დღესასწაულზე, ოზურგეთში ტრადიციული „ალილოს " მსვლელობას მუნიციპალიტეტის მერიაც შეუერთდა და საახალწლო ნობათი მეალილოებს ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებში გადასანაწილებლად გადასცა ;
- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში მოეწყო , სადაც 50 დამსახურებულ ქალბატონს სამადლობელი წერილები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა;
- ფოლკლორის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის. ქალაქ ოზურგეთში ანსამბლ "შვიდკაცა"-ს ვასრკვლავი გაიხსნა;

- ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის გურიის ბიუროსა და კულტურის განყოფილების ორგანიზებით, ოზურგეთში „ევროპის დღეები 2019“-ის ფარგლებში „ევროპისდღე“ გაიმართა.
- მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე აქციას სახელწოდებით „ღამე მუზეუმში“, რომელიც სოფელ დვაბზუში კულტურის განყოფილებისა და მუზეუმების გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის 101 წლის იუბილე გრანდიოზულად აღინიშნა. 26 მაისი მერიამ კულტურის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან, აპიებთან, სერვისცენტრთან და ბიზნესის სფეროსთან ერთად კოორდინირებული მუშაობით ჩაატარა.
- გაიხსნა საკურორტო სეზონი ურეკსა და შეკვეთილში. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.ა.ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება;
- კულტურის სამსახურმა ორგანიზება გაუკეთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვების ტრანსპორტირებას პარკ „ციცინათელაში“, სადაც ბავშვების მასპინძლობა ფონდმა „ქართუმ“ გასწია;
- გაიხსნა გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-10 საიუბილეო საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი, რომელშიც ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, ყაზახეთის, ბელორუსიის, უკრაინის, სლოვაკეთის, ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ;
- კურორტ გომისმთაზე ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გომისმთობა-2019“ ჩატარდა;
- ასკანის ტერიტორიულ ერთეულში სახალხო დღესასწაული „ასკანობა-2019“ სპორტული და კულტურული ღონისძიებებით აღინიშნა.
- სოფელ შემოქმედში სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა-2019“ აღინიშნა;
- ოზურგეთის ჭადრების პარკში ჩატარდა ევროპის დღეები;
- გრანდიოზულად აღინიშნა სახალხო დღესასწაული „ალეგრობა-2019“;
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება ახალი წლის ღონისძიებებისათვის - მთავარი ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება

ბიუჯეტი 70 000 ლარი.

აღნიშნული განყოფილება სპორტულ ორგანიზაციებთან, სპორტის განვითარების ა.ა.ი.პ.-ებთან, სპორტის ფედერაციებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, წარმატებით ახორციელებს სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუნიციპალურ პროგრამათა კოორდინაციას და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას.

ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიზნით, განყოფილება ახორციელებს სათანადო პროექტებს, ხელს უწყობს ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება წარმატებით ახორციელებს წლის გეგმით გათვალისწინებულ და ასევე შემხვედრ ღონისძიებებს:

- „საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში“;
- სპორტული „კაიაკინგის საერთაშორისო ჩემპიონატი“, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიოს 18 ქვეყნიდან ჩამოსულმა კაიაკერებმა მიიღო;
- „ევროპის დღეები -2019“;
- „სპორტული ფესტივალი-2019“;
- ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სოფელ ბახვის საფეხბურთო კლუბის ბაზაზე ყოველწლიურად ტარდება „ზვიად ცეცხლადის ტურნირი“;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2019“-ის ფინალისტებს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებიდან 350 მოსწავლე იღებდა;
- საქართველოს „სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციისა“ და „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“, ასევე, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდთან თანამშრომლობით, ტრადიციულად ჩატარდა „მოყვარულთა თასი-2019“;
- მუნიციპალიტეტში არსებულმა სპორტულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო, რესპუბლიკურ , რეგიონალურ , ადგილობრივ ჩემპიონატებსა და ტურნირებში. აღნიშნულ ჩემპიონატებში მოიპოვეს 172 მედალი, 57 ოქრო, 50 ვერცხლი, 65 ბრინჯაო. წლის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს წახალისების მიზნით გადაეცათ ფულადი ჯილდო;
- კომპანია „ოქროსქედის ვენახებისა“ და სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ველოტური, რომელშიც 50-მდე ველოსიპედისტი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილზე გასულები სოლიდური საჩუქრებით დაჯილდოვდნენ;
- მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 3000-მდე ახალგაზრდა იყო ჩართული;
- საქართველოს ასოციაცია „გურიასთან ერთად“ სპორტის სხვადასხვა სახეობაში შ.შ.მ. პირებს შორის რეგიონალური სპორტული ჩემპიონატი ჩატარდა;
- ევროკავშირის პროექტის „ღია მმართველობა პარტნიორობისათვის“ ფარგლებში, მუნიციპალური სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების გაზომვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, განხორციელდა პროექტი, რომელიც მოიცავდა სერვისების გაზომვის სისტემით მოქალაქეთა კმაყოფილების დონის სტატისტიკის შეფასებას;
- ჩატარდა „რა? სად? როდის?“ ინტელექტ თამაშების საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატი, რომელშიც მუნიციპალიტეტის 20-მდე საჯარო სკოლის გუნდი მონაწილეობდა;
- განხორციელდა პროექტი „ნიჭიერი ხალგაზრდა ხელოვანი“, რითაც გამოვლინდნენ საუკეთესო ესესა და საუკეთესო ნახატის ავტორები;
- არასამთავრობო ორგანიზაცია სტუდენტური „პარლამენტისა და დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანებასთან“ ერთად განხორციელდა პროექტი „განავითარე შენი ქალაქი, შენი რეგიონი“;
- კონკურსის „შეუზღუდავი შესაძლებლობების“ ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ჩვენ შეგვიძლია“, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით ჩატარდა;
- ახალგაზრდა მოჭადრაკე თენგიზ თოიძემ საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში წარმატებული თამაშით მოიპოვა საგზური ორ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მან საპრიზო ადგილები დაიკავა;
- მიმდინარე წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ ერთეულებში სტადიონებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და გადაეცათ სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, ასევე, გარემონტდა სპორტული დარბაზი „ამირანი“. მიმდინარეობს რაგბის სტადიონის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება;

სკოლამდელი აღზრდის განყოფილება

სკოლამდელი აღზრდის განყოფილების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების მენეჯერებთან ხარისხის სტანდარტის დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით ეწყობოდა საინფორმაციო შეხვედრები, ასევე საბავშვო ბაღების მეთოდისტებთან იმართებოდა მუდმივი კონსულტაციები.

- სასწავლო პროცესის შესწავლის მიზნით, განხორციელდა მონიტორინგი დაბა ნარუჯის, სოფელ ოზურგეთის, ასევე, ქალაქ ოზურგეთის N7, N8 და N1 საბავშვო ბაღებში ;
- სკოლამდელი აღზრდის სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისობის დადგენის მიზნით შესწავლილი იქნა მერიის, თხინვალის და ნაღობილევის ტერიტორიული ერთეულის საბავშვო ბაღების სასწავლო-სააღმზრდელო გარემო.
- სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციის დადგენის, გადამზადებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სტატისტიკური კვლევა.
- განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ქალაქ ოზურგეთის N3 და N9 საბავშვო ბაღებში.
- მოეწყო ხარისხის სტანდარტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის კვლევა და შეფასება გურიანთის, მერიის, ნაღობილევის, ნატანების, ზემო ნატანების, თხინვალის, წვერმაღალას, ურეკის, მელექედურის, ნასაკირალის, გაღმა დვაბზუს, დვაბზუს, შემოქმედის, მაკვანეთის, ლიხაურის, ჭანიეთის, ბახვის, ბოხვაურის, ცხემლისხიდისა და ვაკიჯვრის საბავშვო ბაღებში.
- ბაღების მენეჯერების მონაწილეობით, გაიმართა შეხვედრა „კვიციას-გეორგიკას“ წარმომადგენლებთან. ორგანიზება გაეწია ტრენინგავალიდი მეთოდების შეხვედრებს საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის გაზიარების მიზნით საბავშვო ბაღების მენეჯერები გაეცნენ ხარისხის სტანდარტის დანერგვის გეგმას.
- განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი მზიანის, ასკანის, ნარუჯის, ბახვისა და მელექედურის ტერიტორიული ერთეულების საბავშვო ბაღებში.
- განყოფილებამ ორგანიზება გაუწია ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებს.

განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება

განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების 2019 წლის ბიუჯეტი 220 000 ლარით განისაზღვრა.

აღნიშნული თანხის ფარგლებში განხორციელდა:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები - ჯამური ღირებულებით 100 000 ლარი.

ბ) განათლების ხელშეწყობის პროგრამით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის ის 10 მოსწავლე, რომლებიც ერთიან ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს 100 %-იანი სასწავლო გრანტი, წახალისების მიზნით დაჯილდოვდნენ 3 000 ლარით, ხოლო მათ აღმზრდელ სკოლას გადაეცა 1 000 ლარი.

გ) განყოფილების ინიციატივით 2 წელია წარმატებით ხორციელდება საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტურები სოციალურად დაუცველი საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის, რომლის მიზანია მათთვის ქართული საზოგადო მოღვაწეების გაცნობა, ისტორიული ძეგლებისა და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმირება.

დ) წლის განმავლობაში მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალებისთვის მუნიციპალიტეტის მერია გასცემს ერთჯერად დახმარებას 500 ლარის ოდენობით. ამ პროგრამისთვის გამოყოფილია 6 000 ლარი.

ე) განყოფილების ინიციატივით მაისის თვეში მასშტაბურად აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა და ისეთი აქტუალური პრობლემის გადაჭრა, როგორცაა უმუშევრობა, წარმოდგენილია ეკონომიკის განვითარების გარეშე, ეკონომიკის განვითარება - მრეწველობის გარეშე, მრეწველობა-სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე.

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადებული პროექტით იაპონიის საელჩოს „ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის“ გამარჯვებული გახდა. შედეგად მუნიციპალიტეტს გადაეცემა თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების შესაგროვებელი მძიმე ტექნიკა კონსტრუქციულად შესაბამისი სანაგვე ურნებით, რაც დაეხმარება ქალაქს გადავიდეს ნარჩენების სეგრეგაციაზე და ნარჩენების მართვის უფრო მდგრად მოდელზე. გამარჯვებული პროექტის ხელმოწერის ცერემონია იაპონიის ელჩის ტადაჰარუ უეჰარას რეზიდენციაში გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში, ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე, ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, ალექო მამეშვილი, ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მომსახურების ცენტრის“ დირექტორი თენგიზ ქუტიძე და საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროექტები დაფინანსებულია იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობების ზრდას და მდგრად განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად განყოფილების ორგანიზებით იმართებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან. შეხვედრებზე ხდებოდა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ფაროსანასთან ბრძოლის საქმეში მექანიკური საშუალებების უპირატესობაზე, სოფ. მერიაში დამონტაჟდა საჩვენებელი სადგური „მოიზიდე და მოკალი“, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შერჩეული იქნა ადგილი მეთოდის „მოიზიდე და მოკალი“ სადგურების მოსაწყობად, სადაც განთავსდა ფერომონები. ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის რეკომენდაციის შესაბამისად მოხდა ფერომონების განთავსების ადგილმონაცვლეობა.

ინოვაციური კულტურების წარმოების მხარდაჭერა-სტეგია

2018 წელს ოზურგეთის 4 სოფელში დაირგო სტეგიის ნერგები; 2019 წელს დამატებით მოხდა 500 ძირი ნერგის შეძენა და დამატებით 4 სოფელში (შრომა, ნატანები, ბახვი, ასკანა) მოხდა

მისი გაშენება; მიღებული სტევის პროდუქცია გამოიყენება ჩაის პროდუქციის გასამდიდრებლად, სამკურნალო საშუალებად;

თხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა:

მუნიციპალიტეტის 4 სოფელში (სილაური, გურიანთა, ბოხვაური და მაკვანეთი) შერჩეული იქნა თხილის მწარმოებელი ფერმერების საკუთრებაში არსებული პლანტაციები, სადაც მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთები. ფართობებში ჩატარდა თხილის ბუჩქების საჩვენებელი გასხვლები, აგროტექნიკური წესებით მოხდა ღონისძიებების გატარება. ღონისძიებებს ესწრებოდნენ თხილის მწარმოებელი ფერმერები მეზობელი სოფლებიდან. მიღებული შედეგებით

სასწავლო პროგრამა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებისათვის

თხილის კულტურის აგროტექნიკისა შესწავლისა და მოსახლეობაში გავრცელების მიზნით საჯარო მოხელეებისათვის (ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები და მათი თანაშემწეები) ჩატარდა სპეციალური ტრენინგი. ტესტირება გაიარეს და სერთიფიკატი მიიღო 27-მა მერის წარმომადგენლებმა და მათმა თანაშემწეებმა.

გამწვანების ღონისძიებები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტს გადმოეცა სხვადასხვა ჯიშის მცენარის ნერგები. მაკვანეთის, ნასაკირალის, ქ. ოზურგეთის, ცხემლისხიდისა და დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულებში გაშენდა მრავალწლიანი ნარგავები, რაშიც მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ.

ახალი ტურისტული პროექტის “ჩაის გზა” მიმნიშვნელობის მოწყობა

აგროტურისტული ღონისძიების „ჩაის გზა“ ხელშეწყობის მიზნით განყოფილების თანამშრომლების მიერ საინფორმაციო დაფები დამონტაჟდა ბახვის, ანასეულის, შემოქმედის, გურიანთის ჩაის ფაბრიკების და საოჯახო საწარმოების მიმართულებით. ღონისძიება ხელს უწყობს ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციას.

ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი

ფორუმი წელს მეორედ ჩატარდა და მასში ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან 50-ზე მეტი მეწარმე ქალი მონაწილეობდა. ფორუმის მიზანია ქალი მეწარმეების გააქტიურება და ჩართვა მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ტურიზმის განყოფილება

სასწავლო პროგრამა ტურიზმის სფეროში დასაქმებულებისათვის

- ტურიზმის განყოფილების ინიციატივით ჩატარდა გიდების გადამზადების ტრენინგი. ტრენინგს უძღვებოდა ტენდერში გამარჯვებული ტურისტული კომპანია „Welcome tu Georgia“-ს ხელმძღვანელი ნინო ქორიძე. ადგილობრივი გიდების და გიდობის მსურველთათვის ტრენინგი ემსახურებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის უკეთ წარმოჩენის საქმეს.
- 6 აგვისტოს ტურიზმის განყოფილების ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოების, სასტუმროს მფლობელებისა და გიდებისთვის. კომპანია „ეარნეტის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა სოფია ვასაძემ დამსწრეებს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ტურისტული და სამეწარმეო საქმიანობის რეკლამირების ინსტრუქცია გააცნო და მათ თეორიული რესურსების და გამოცდილების გაზიარების ინსტრუმენტების შესახებ ესაუბრა.

ინფო და პრეს-ტური ოზურგეთში

- საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ სამხრეთ კორეის საზოგადოებრივი ტელევიზიის ჟურნალისტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შესახებ იღებენ დოკუმენტურ ფილმს. გურიაში კორეელ სტუმრებს უმასპინძლეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილების თანამშრომლებმა. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციამ რეკომენდაცია გაუწია მუნიციპალიტეტის პროექტ „ჩაის გზა“-ს. ჟურნალისტები იმყოფებოდნენ პროექტის მონაწილეებთან, დააგემოვნეს ქართული ჩაი, ნახეს ნედლეულის გადამამუშავების პროცესის სხვადასხვა ეტაპი. ასევე, მოინახულეს აჭის მონასტერი და კურორტი გომისმთა.
- 2019 წლის 10-11 ივნისს გურიაში სტუმრად იმყოფებოდა ბრიტანელი ჟურნალისტი ელენ მოატი. ელენი წერს საქართველოს შესახებ სტატიების ციკლს მსოფლიოში ცნობილი ბრიტანული ჟურნალი „Wonderlust“-ისთვის. სტუმარი ეწვია პროექტ „ჩაის გზის“ რამდენიმე ლოკაციას, გომისმთას, აჭის უძველეს მონასტერს, წვერმაღალას, მინიატურების პარკს, დააგემოვნა ქართული ჩაი, კერძები. გურიის შესახებ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ელენ მოატის სტატიების ციკლში.
- ტურიზმის განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთა ინფოტურს, რომელიც მოეწყო ტურიზმის დეპარტამენტის ჟურნალისტების, ტურისტული კომპანიების და გაეროს წარმომადგენლობისთვის.
- ჩეხეთის ტელევიზიის ჟურნალისტები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში: სექტემბერის თვეში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მყოფ ჩეხეთის ცენტრალური ტელევიზიის ჯგუფს უმასპინძლა ტურიზმის განყოფილებამ. მზადდება გადაცემების სერია საქართველოზე. ჩეხმა ჟურნალისტებმა მოამზადეს 13 თემა - 13 ადგილი საქართველოდან, ერთ-ერთი თემაა „ქართული ჩაის ისტორია და ახალი სიცოცხლე“. ჩეხმა ჟურნალისტებმა მოინახულეს მუნიციპალური პროექტის „ჩაის გზა“ ორი ლოკაცია- გურიანთის ჩაის ფაბრიკა-Natura Tee company და დავით თენგიშვილის ბიო მეურნეობა, სადაც ნახეს ჩაის გადამამუშავების პროცესი,

დანადგარები, დააგემოვნეს უმაღლესი პროდუქციის ჩაი, სოფელ შემოქმედში, გურული გლეხის ოჯახში გადაიღეს ჩიჩილაკის დამზადების პროცესი.

➤ **ინფოტური იმერეთის ტურისტული კომპანიებისთვის:** მიმდინარე წელს ოზურგეთში სტუმრად იმყოფებოდნენ იმერეთის წამყვანი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. სტუმრები გაეცნენ პროექტ „ჩაის გზა“-ს მონაწილეები. რასაც მიემდვნა სიუჟეტი გურიაში სტუმრობის შესახებ.

➤ **ურეკი-შეკვეთილის საინფორმაციო-სარეკლამო აქცია:** 1-2 აგვისტოს, ურეკსა და შეკვეთილში გაიმართა საინფორმაციო-სარეკლამო აქცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების შესახებ. აქციაში ტურიზმის განყოფილებასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ განყოფილების ინიციატივით გადამზადებული ადგილობრივი გიდები. აქციამ, მიუხედავად არსებული არასახარბიელო სიტუაციისა(რუსული ტურისტული ემბარგო)დამსვენებლების მხრიდან გამოიწვია დიდი ინტერესი, გიდებთან ერთად დაიგეგმა რამდენიმე, (10კაციანი) ჯგუფის „ ჩაის გზის“ და გომის მთის ტური.

გამოფენები და ფესტივალები

3-4მაისს ტურიზმის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ქ.თბილისში, ექსპო-ჯორჯიას პავილიონში გამართულ ტურიზმის მე-21 საერთაშორისო გამოფენაზე. სადაც მოხდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალი პროექტის „ჩაის გზა“ და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტის „რა ყოფილა გურია“-ს ფარგლებში გადაღებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების ამსახველი ვიდეო მასალის პრეზენტაცია, ასევე ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენა.

➤ ტურიზმის განყოფილებამ 10-12მაისს მონაწილეობა მიიღო ქ.ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ ტურიზმის მე-12 საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალი პროექტი „ჩაის გზა“და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტის „რა ყოფილა გურია“-ს ფარგლებში გადაღებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების ამსახველი ვიდეო მასალა, ასევე ადგილობრივი წარმოების პროდუქცია.

ოზურგეთის ახალი ტურისტული შესაძლებლობების განვითარება

➤ ტურიზმის ადმინისტრაციის ხელშეწყობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (შვიდი ლოკაცია-2-ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე, 2 - დაბა ურეკში, 3 შეკვეთილში) დაიდგა **ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები:** ტურიზმის განყოფილებამ აქტიურად ითანამშრომლა კომპანია „ჯეო ლენდთან“ ორმხრივ მანათობელ კონსტრუქციებზე დასატანი რუკის (ქართულ-ინგლისური ვარიანტი) და ასევე რუკის მეორე მხარეს ლეგენდის ტექსტისა და სურათების შესახებ.

➤ **ქართული ჩაის ფესტივალი** - 5 მაისს ოზურგეთში ჩატარდა მუნიციპალური პროექტის „ჩაის გზა“-ს ფარგლებში ქართული ჩაის ფესტივალი, რომელიც ქართული ჩაის პოპულარიზაციას და ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. ტურიზმის განყოფილებამ მოაგვარა ფესტივალის საორგანიზაციო საკითხები, დიზაინი. უმასპინძლა პროექტ „გაიცანი საქართველოს“ მონაწილეებს: საქართველოს

ტელე-მედია სივრცის 35 ჟურნალისტს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მარიამ ქვრივიშვილს გუნდთან ერთად.

➤ **ველოტური** - საქართველოს დამოუკიდებლობის 101-ე წლისთავისადმი მიემძვნა მასშტაბური ველოტური. ველოტური ოზურგეთში ყოველწლიურად ტარდება და მასში 50-ზე მეტი ველომოყვარული იღებს მონაწილეობას;

➤ **ტურისტული კონფერენცია:** ივლისის თვეში ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, ჩატარდა ტურისტული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ტურიზმის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე რუსუდან მამაცაშვილი, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარია, ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელები, ურეკისა და შეკვეთილის სასტუმროების მენეჯერები, ტურიზმის დეპარტამენტის ჟურნალისტები. კონფერენციაზე განიხილეს ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები, ახალი წინადადებები.

➤ ტურიზმის განყოფილების ინიციატივით მოეწყო ღვინის ტური სახელწოდებით „**ჩხავერის ისტორია**“. იმერეთისა და აჭარის სხვადასხვა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები და გიდები უძველესი გურული ვაზის ჩხავერის ისტორიას გაეცნენ. ინფოტურის მონაწილეებმა სოფელ მთისპირში „ოქროსქედის ვენახებში“ ჩხავერის პლანტაციები დაათვალიერეს და ყურძნის კრევის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ღვინის გზაზე სტუმრებს საოჯახო სასტუმრომ INGA'S GARDEN - „ნიკო მამასახლისმა“ უმასპინძლა, სადაც მამა-პაპისეული მარანი მოინახულეს და სამეურნეო პროცესს გაეცნენ. ტურის მონაწილეებმა ასევე დაათვალიერეს სოფელ შემოქმედში მეწარმე ანდრო ვაშალომძის სადემონსტრაციო ნაკვეთი და ილია ჩხატარაშვილის ახალაშენებული მარანი. მომდევნო წლიდან ტურისტული მარშრუტი ბევრი ადამიანისათვის გახდება საინტერესო ტური.

განყოფილების მიერ 2020 წელს ახალი ტურისტული პროექტის - “ფოლკლორული ტურის” მოწყობა იგეგმება.

ქონების მართვის განყოფილება

სულ განყოფილებას მიმდინარე პერიოდში დაეწერა 6 090 მეტი წერილი, განცხადება და კორესპოდენცია;

მ.შ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან 3 036 -ზე ერთეული, რომელზეც მომზადდა პასუხი და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში შედგა 4 050 ოქმი;

პასუხი გაეცა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 200 ერთეულ, გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 150 ერთეულ, მოქალაქეებიდან და სხვა ორგანიზაციასა და უწყებიდან შემოსულ 180 ერთეულ წერილს.

განხორციელდა უმრავი 145 ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაცია და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 40 ობიექტის განახლებული რეგისტრაცია;

პრივატიზებისა და იჯარებიდან შემოსავლებმა სულ შეადგინა 244 107,58 ლარი (სახელმწიფო და მუნიციპალური);

ასევე განყოფილება მონაწილეობას იღებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისათვის სამეშე მერქანის განაწილებაში - სულ დაკმაყოფილდა 120 ბენეფიციარი.
- სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალური ქონების მონიტორინგის ფარგლებში შეტყობინებები განმეორებით დაეგზავნა მოიჯარეებს დავალიანებასთან დაკავშირებული ბალანსის შესასწორებლად.

- ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციისა და მიწის საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში.
-

ადმინისტრაციული სამსახური

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობის სტილი და მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა განყოფილებების მოხელეებისათვის სამუშაო გეგმებისა და ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების რაციონალურად განაწილების უზრუნველყოფას, გამოინახა საზოგადოების ფართო წრეებთან, მოქალაქეებთან მერიის თანამშრომლობის ინოვაციური მიმართულებები.

მერიის დებულების შესაბამისად შემუშავდა სტრუქტურული ერთეულების, განყოფილებების, მოხელეების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშგების სისტემა. განმტკიცდა სამსახურის საქმიანობა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოხელეთა წახალისების, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების და პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიმდინარე წლის აგვისტოდან მერიაში რეორგანიზაციის ჩატარების შესახებ. რეორგანიზაციის მთავარი მიზანი არა შტატების შემცირება, არა საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს შეცვლა, არა რანგის შესაბამისი კატეგორიის ცვლილება, არამედ მერიაში მოქმედი სამსახურების მიერ, განვლილ პერიოდში უფლება-მოვალეობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ანალიზისა და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით ცალკეული სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ინსტიტუციური მოწყობის განახლება, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

რეორგანიზაცია შეეხო შემდეგ სამსახურებს: ადმინისტრაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა, სოციალური და ჯანდაცვის, არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების, საფინანსო საბიუჯეტოს სამსახურებს.

პროცესი ძირითადად წარიმართა ორი მიმართულებით, სოციალურ საკითხთა სამსახური შეერწყა განათლებისა და კულტურის სამსახურს, აღნიშნულის საფუძველზე მერიაში შეიქმნა ზედამხედველობის სამსახური, მოქმედი საშტატო ნუსხის მიხედვით, რომლებშიც დასაქმებული არის პროფესიული საჯარო მოხელეები, თავიანთი კომპეტენციების უნარ-ჩვევების, სამუშაო გამოცდილების მიხედვით მობილობის წესით გადაყვანილი იქნენ ისეთ სამსახურებში, სადაც მათი გამოცდილება, უნარები და კომპეტენციები უფრო წაადგება მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე მდგომი ამოცანების ეფექტურად გადაჭრას.

უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული სამსახური სისტემატიურად განიხილავდა და ამზადებდა საკითხებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.

სხვადასხვა სამსახურებთან ერთობლივად, მიზანდასახული და ორგანიზებული მუშაობის მაგალითებია ისეთი მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა „ალეგრობა - ოზურგეთობა,“ დასუფთავების მსოფლიო დღე, უანგარო დონაციის ორი საქველმოქმედო აქცია და უკრაინის, ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობა. ისტორიული, მეგობრობა ოზურგეთსა და გენიჩესკს შორის, რომელსაც 1938 წელს მიერ ჩაეყარა საფუძველი ურთიერთთანამშრომლობის არა ერთი საინტერესო ეპიზოდით არის მდიდარი.

90-იან წლებიდან დღემდე ტრადიცია ფაქტიურად შეწყდა. ომსა და სისხლში გამოწრთობილი ამ შესანიშნავი მეგობრობის მაგალითის აღდგენა- განვითარება ოზურგეთის მოსახლეობის მოთხოვნის

შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის დღევანდელი თაობის საეტაპო მნიშვნელობის გამოწვევა გახლდათ.

თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი თაობის ისტორიული მისია, ოზურგეთისა და გენიჩესკის რაიონებს შორის უნიკალური მეგობრობის განახლების თაობაზე შესრულებულია. ეს კამპანია კიდევ უფრო სასიკეთო, სამომავლო რელსებზე გადავიდა (კულტურის, ეკონომიკის, ბიზნესის, ტურიზმისა და სხვა მიმართულებით).

✓ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, დღეის მდგომარეობით არის 209 შტატი. დასაქმებულია სულ 216 თანამშრომელი, აქედან 4 პოლიტიკური თანამდებობის პირია, 8 სამსახურის უფროსი, 30 განყოფილების უფროსი, 202 საჯარო მოხელე, 14 შრომითი ხელშეკრულებით. ვაკანტურია - 7 სამტატო ერთეული.

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოხელეთა გამჭირვალე და ობიექტური ორი კონკურსი, აქედან ერთი დახურული და ერთი ღია, სადაც შერჩეულ იქნა ერთი განყოფილების უფროსი, ადმინისტრაციულ ერთეულში ორი წარმომადგენელი და ერთი მერის წარმომადგენლის თანამემწე.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უშუალო მონაწილეობით ჩავატარეთ სამუშაო შეფასება, პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების პროცედურების სრული დაცვით. სამუშაო აღწერილობის მიხედვით განვსაზღვრეთ თითოეული მოხელისათვის მასთან მისადაგებული კომპეტენციები და უნარები, მოვამზადეთ სპეციალური ფორმები, რომელიც მივაწოდეთ თითოეულ თანამშრომელს ელექტრონულად. HR განყოფილებამ გაუწიეთ კონტროლი შუალედურ და საბოლოო შეფასებებს.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) – ის პროექტის ფარგლებში, შერჩეულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, სადაც მიმდინარეობდა ექსტენიანი სამუშაო პროცესი, სამუშაო შეფასებასთან დაკავშირებით, შემუშავდა და შესწავლილ იქნა ახალი შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს მიზნებით, ფუნქციებითა და კომპეტენციებით შეფასებას, ჩვენი ჯგუფის მიერ დაიწერა ახალი შეფასების წესი, რომლითაც ისარგებლებს საქართველოს მუნიციპალიტეტები.

2019 წლის ტრენინგ გეგმის ფარგლებში განყოფილების უშუალო მონაწილეობით და ჩართულობით, მოხდა სამუშაო შეფასების ტრენინგის შესყიდვა, სადაც გადამზადდა 42 მენეჯერული პოზიციის თანამშრომელი. ასევე ტრენინგ გეგმის ფარგლებში მოხდა დონორი ორგანიზაციების მოძიება და თანამშრომელთა გადამზადება სხვადასხვა საკითხებში:

1. ფინანსური მენეჯმენტი;
2. პროექტების მართვა.

დღეის მდგომარეობით, შემუშავებულია გეგმა ახალი ტრენინგის ჩასატარებლად, როგორცაა ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა, მიმდინარეობს მზადება საბაზისო ტრენინგების დასაგეგმავად.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, HR განყოფილება ახორციელებს კონტროლს, მერიის თანამდებობის პირთა მიერ კანონით დადგენილი დეკლარაციის წარდგენაზე.

განყოფილება უზრუნველყოფს შვებულების სპეციალური ბაზისა და ტრენინგთან დაკავშირებულ მივლინების ბაზის საკითხებს, რომელშიც აღრიცხულია თითოეული თანამშრომლის შვებულებაში და მივლინებაში გასვლის დღეები. ასევე კონტროლს მოხელეთა დოკუმენტაციის წარდგენაზე, უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა მხრიდან მცისიერი დავალებების შესრულებას. მიმდინარეობს მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში გადასვლაზე და ეტაპობრივად ხდება სისტემის მოწესრიგება.

მომზადებულია 2019 წლის ტრენინგ-გეგმა, სადაც განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის, როგორც საბაზისო, ისე დამატებით სფეროებში გადამზადების საკითხები.

2019 წლის ტრენინგ გეგმა მოიცავს:

1. თანამშრომელთა შეფასება;
2. პროფესიული კომუნიკაცია;
3. ღონისძიებების მენეჯმენტი;
4. ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა;
5. ფინანსური მენეჯმენტი;
6. პროექტების მართვა;
7. ეთიკა საჯარო სამსახურში;
8. ადამიანური რესურსების მართვა;
9. სრტატეგიული მართვა დაგეგმვა;

დამუშავებულია აიპების და შპს - ეების შტატისანი და შტატგარეშე თანამშრომელთა სიები, რომლებიც შეყვანილია სპეციალურ ბაზაში, რომელთა განახლებაც ხდება ეტაპობრივად.

ვახდენთ მოხელეთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დროულ ჩაბარებაზე კონტროლს და სათანადო რეესტრში შეტანას, დაგვიანების შემთხვევაში მათ გაფრთხილებას.

საქმისწარმოების განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების ძირითადი ფუნქციაა საჯარო დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის ავტომატიზირებული სისტემით ადმინისტრაციული საქმისწარმოების გამართულად და ეფექტურად წარმოება და შესრულების კონტროლი.

2018 წლის 1 ივლისიდან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

კანცელარიის მიერ ყველა გასული წერილი თუ სამართლებრივი აქტი მოწმდება კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

„მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის N1334 განკარგულების შესაბამისად, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ (ს/ნ 206074193) და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/ნ 405026877) (შემდგომში-სააგენტო) შორის 2019 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 16/09/2019 - დან 2019 წლის 15/10/2019-ის ჩათვლით, პროექტი „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისები“ -ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში საქმისწარმოებისა და ბიზნესპროცესების მოკვლევის პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ჩატარდა, რომლის მიზანია ახალი, დახვეწილი დოკუმენტბრუნვის დანერგვით საქმისწარმოების ეფექტურ-ელექტრონულ მართვასა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფი წვდომის უზრუნველყოფა.

საქმისწარმოების განყოფილების ყოველდღიური საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემოსული და გასული დოკუმენტაციის ადმინისტრირებით, არამედ ჩვენ ყოველდღიურად ვემსახურებით საზოგადოების ფართო სპექტრს. მომსახურება მოქალაქეებთან ურთიერთობას გულისხმობს და ორიენტირებულია მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. მომსახურების ხარისხზე დამოკიდებულია საჯარო დაწესებულების მუშაობის წარმატებულობა და ეფექტიანობა.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მოქალაქეები მომსახურების მაღალ სტანდარტებზეა ორიენტირებული და სულ უფრო მეტად მომთხოვნი ხდება სერვისისებისადმი, ამდენად მოქალაქეთა მომსახურება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და მომსახურების მაღალი სტანდარტების გამოყენებას მოითხოვს. ჩვენი განყოფილების საქმიანობის არსი მდგომარეობს სწორედამოქალაქეთა ეფექტურ მომსახურებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, რეგისტრაციაში გატარდა:

1. სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სამინისტროებიდან,

დეპარტამენტებიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და უწყებიდან შემოსული 11992 კორესპონდენცია;

2. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 8979 მოქალაქის განცხადება;
3. მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა და გაიგზავნა 14659 წერილი.
4. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ შეიქმნა შიდა მოძრაობის 15950 წერილი.
5. მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა 6530 სამართლებრივი აქტი.
6. გზავნილებისათვის შესრულდა 944 რეესტრი.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება

ანგარიში

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში. ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით განყოფილებას უხდება ინფორმაციის მიწოდება მერიაში არსებული შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან.

განყოფილებაში ხდება მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების ცალკეული დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. ინფორმაციის მიწოდება თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენელთან და პირიქით ადმინისტრაციული ერთეულიდან მიღებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების განხილვა.

მერის წარმომადგენელთა განყოფილება მონაწილეობს:

- ა) მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა (მერის წარმომადგენელი და თანამშემწეები) შუალედურ შეფასებებში.
- ბ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის გაცნობისა და საჯარო განხილვების ორგანიზებაში.
- გ) ადმინისტრაციულ ერთეულში მიზნობრივი პროგრამების განხორციელების პროცესში.
- დ) ადმინისტრაციულ ერთეულში ქონების აღრიცხვის პროცესებში.
- ე) მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების ორგანიზების საკითხებში.

განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან გასამართი საერთო კრებებისა დაკონსულტაციების ორგანიზებაში (მომზადდა

ჩასატარებელი კრების გრაფიკი), კრებებზე შერჩეული პროექტების მიხედვით შეიქმნა პრიორიტეტების დოკუმენტი.

2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში იყავი თანამმართველი! იაქტიურე, ჩაერთე, შეარჩიე! ელექტრონულ მისამართზე სპეციალურად შექმნილი ელექტრონული სისტემის მეშვეობით რეგისტრირებულ პროექტებზე, ადმინისტრირებისა და მართვის პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელ იყო მერის წარმომადგენელთა განყოფილება, რომელიც მუდმივ მონიტორინგს აწარმოებდა, კონკრეტული საკითხებ-ის გადაჭრის გზების შემუშავებაზე, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესაძლებლობას დაეგემათ ბიუჯეტის ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად პროექტის დირეზულებისა და მიღებული ხმების საფუძველზე გამოვლინდა. ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა გახდა მიმდინარე პლატფორმის საშუალებით.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება მონაწილეობს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში, ერთერთ მათგანს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უკრაინის რესპუბლიკის ხერსონის ოლქის „გენიჩესკის რაიონის ოფიციალური დელეგაციის მიღების ორგანიზაციული ღონისძიებების გეგმა.

ადმინისტრაციული ერთეულებიდან მიღებული სოციალური პრობლემების საფუძველზე მომზადდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა შემდეგ პუნქტებს: ოჯახები, რომელთაც ეკუთვნით და არ აქვთ სოციალური დახმარება, ხუთი ყველაზე შეჭირვებული მოსახლე, უსახური და მიტოვებული შენობების მდგომარეობა ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნული კითხვარი გადაეცა გურიის მხარეში რწმუნებულის ადმინისტრაციას შესაბამისი რეაგირებისთვის.

განყოფილება აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებების თუ საქველმოქმედო აქციების ორგანიზებაში, ჩვენი მეშვეობით ხდება ადმინისტრაციული ერთეულების ინფორმირება და ჩართულობა აღნიშნულ ღონისძიებებში (დასუფთავების აქცია, სხვადასხვა საქველმოქმედო აქციები, „ღონისძიების აქცია“, კულტურული ღონისძიებები („ევროპის დღე“, „ალეგრობა“, ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილი სოფლის დღესასწაულები, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული დელეგაციის ვიზიტი)განყოფილება ჩართულია ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი ხელისუფლების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებაში, ხდება სოფლებში მოსახლეობის მიერ დასმული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურების ჩართულობა ამ პროცესებში.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სფეროში დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაციას მიეწოდება ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდის (მოიზიდე და მოკალი) შესახებ, მუდმივად მონიტორინგი ეწევა ამოცანის შესრულებას. ხდება სურსათის სააგენტოს ინფორმაციით უზრუნველყოფა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების გარკვეული კატეგორიების შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაციის შესახებ მიღებულ კორენსპოდენცია მიეწოდება ადმინისტრაციულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისთვის.

სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის განყოფილება წინასწარ მომზადებული გეგმის შესაბამისად და გრაფიკის მიხედვით ახდენს მერიის სტრუქტურული ერთეულებისგან საარქივო დოკუმენტაციის მიღება-დაარქივებას.

მ/წლის თებერვლის თვიდან დაიწყო და გრძელდება საცავეში არსებული 2012-2013-2014 წლების სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის დახარისხება, დალაგება საარქივო მასალების გადაწყობა ახალ ბაინდერებში, და დოკუმენტების შერჩევა მუდმივი, ხანგრძლივი და დროებითი შენახვისათვის.

2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა. სხდომის გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანების საფუძველზე, გასანადგურებლად შეირჩა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012-2013 წლების დოკუმენტები, რომლებსაც არ გააჩნდათ სამეცნიერო-ისტორიული ფასეულობა და დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა. კერძოდ, (სოციალური ხასიათის დოკუმენტაცია, მოქალაქეთა ცნობები, განცხადებები, შეკითხვები, მიმოწერა და და მასზე მიმდგრებული პირადი ხასიათის საბუთები) სულ გასანადგურებლად შეირჩა 145 (ასორმოცდახუთი) საქმე.

არქივის განყოფილებაში ყოველდღიურად შემოდის განაცხადი სხვადასხვა საარქივო დოკუმენტაციის მოძიებაზე, მოთხოვნა ტარდება სპეციალურ წიგნში ასევე ტარდება გაცემული და დროებით სარგებლობაში გატანილი მასალები და დასტურდება ხელმოწერით.

ზემოთხსენებული განყოფილების მეშვეობით კანონის სრული დაცვით ხდება მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის ორგანიზება, პასუხის გაცემა ყველა იმ საჯარო ინფორმაციის მოძიებასა და მომზადებაზე რომელიც შემოდის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სულ საანგარიშო პერიოდში გაიცა 90 საჯარო ინფორმაცია მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებს მერის და მერიის სტრუქტურული დანაყოფების, ასევე მერიას დაქვემდებარებული ა.(ა).ი.პ. ორგანიზაციების აქტივობებს.

უზრუნველყოფს: მედიის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებას, მერიის ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, საკრებულოსთან, იურიდიულ პირებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, მერიის თანამდებობის პირების პრეს-კონფერენციების ჩატარების ორგანიზებას, მერიის საქმიანობის შესახებ პრეს-დაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას, მერიის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დადგენილი წესის შესაბამისად პროაქტიულად გამოქვეყნებას; მერიის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას; მერიის

სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სელექციას. უზრუნველყოფს მერიის საინფორმაციო არხების ადმინისტრირებას. თანამშრომლობს და პარტნიორულ ურთიერთობაშია, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ მედიასაშუალებებთან. განყოფილება ამზადებს უახლოესი ღონისძიებების გრაფიკს, ანონსებს და ყოველკვირეულ კალენდარს. მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

2019 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ დამუშავდა და მომზადდა მერიის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ **2 010** ინფორმაცია, **390** ანონსი და განცხადება, **96** ვიდეოსიუჟეტი, **102** პრესრელიზი, მედიის წარმომადგენელთა კითხვებზე დამუშავებული და მომზადებულია **111** წერილობითი პასუხი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ “ალეგრობა-ოზურგეთობის“ დღესასწაულზე გენიჩესკის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით მოხდა გენიჩესკი-ოზურგეთის ურთიერთობების ამსახველი ისტორიული და საარქივო მასალების მოძიება და დოკუმენტური ფილმის „გულთა კავშირის“ მომზადება, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. აღნიშნულ თემაზე მოეწყო ფოტოგამოფენა. ღონისძიება გაშუქდა ცენტრალურ არხებზე: „რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ასევე, ადგილობრივ მედიასაშუალებებში: „TV-გურია“, „გურია ნიუსი“, „ალიონი“, „გურიის მოამბე“.

პროგრამის: „ღია მმართველბა პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ozurgeti.mun.gov.ge შესაბამისი სტანდარტებისა და პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად პროაქტიულად გამოქვეყნდა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, სოფლებში განხორციელებული საერთო კრებების ოქმები და სამართლებრივი აქტები.

ევროკავშირის საგრანტო პროექტის ფარგლებში აღინიშნა „**მდგრადი ენერჯეტიკის დღე**“. პროგრამით - „**მერების შეათანხმება აღმოსავლეთით**“ გათვალისწინებული „ევროპის მდრადი ენერჯეტიკის კვირეულის“ აღსანიშნავად ქალაქის ცენტრში, უსახურ კედელზე განთავსდა თემატური კედლის ინსტალაცია, მოეწყო საინფორმაციო კამპანია, ასფალტზე ხატვა და პერფორმანსი.

განყოფილების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონირების მიმართულებით წლის განმავლობაში მოხდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის რეგულირება, პერსონალური კომპიუტერების აწყობა-მონტაჟი, ოპერაციული სისტემის პერიფერიული მოწყობილობებზე მიერთება, პრინტერების ინსტალაცია, „windows 8.1“ ოპერაციული სისტემის ინსტალაცია, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ოპერაციული სისტემების დაყენება-განახლება, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში თითის ანაბეჭდების სკანირება და ბარათების რეგისტრაცია. დასრულდა დაქვემდებარებულ სტრუქტურებში კომპიუტერული ინვენტარის პროგრამული წმენდა. განხორციელდა უსადენო ინტერნეტ ქსელის wifi-ს მონტაჟი და საქმისწარმოების პროგრამის პარამეტრების გასწორება.

2019 წლის ივლისიდან განყოფილებაში განხორციელდა საკადრო ცვლილება. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში ჩანაცვლდა მემონტაჟე-ოპერატორით, რომლის პროფესიონალიზმმა მნიშვნელოვნად გაზარდა მერიის საინფორმაციო არხებისადმი გამომწერთა ინტერესი, დაიხვეწა საინფორმაციო მასალების ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე.

2019 წლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის გამოქვეყნებული რაოდენობა 5 000-იდან 8 257 - მდე გაიზარდა. შესაბამისად, იმატა გამოქვეყნებული მასალების მნახველთა რაოდენობამ. ინფორმაციის გავრცელების სტატისტიკა გაზარდა 45%-ით.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლემ, სხვადასხვა პროგრამით გათვალისწინებულმა სოციალურმა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებმა გაზარდა მომხმარებლის ინტერესი მერიის საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხებისადმი, 2018 წელთან შეადრებით 2019 წელს იმატა პოზიტიური, კრიტიკული და ნეოტრალური გამოხმაურებების რაოდენობამ, რაშიც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართულობის ნიშნები იკვეთება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების 2019-2020 წლის სამუშაო სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვასა და მერიის საქმიანობის ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალების ხარისხის გაუმჯობესებას, განყოფილების თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით აღჭურვას. 2020 წლის საანგარიშო ვიდეორგოლის და მერის 1 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენის მაღალ დონეზე ორგანიზებას.

მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება მუნიციპალიტეტის მერია საანგარიშო პერიოდში მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ერთგულია იმ პრინციპებისადმი, რომელიც თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნასა და სამსახურეობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციული-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას გულისხმობს.

მუდმივად ხდება შესყიდული მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვისა და დასაწყობების, მოთხოვნის შესაბამისად მატერიალურ ფასეულობათა განაწილებისა და მიწოდების საკითხების მოგვარება, მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფილია მერიაში თანამშრომელთა სატრანსპორტო მომსახურება, საჭიროებითა და დადგენილი ლიმიტების მიხედვით საწვავით მომარაგება.

საანგარიშო პერიოდში გახარჯული საწვავის რაოდენობა:

მერია - 95644.11 ლიტრი, ღირებულება - 126008.59 ლარი;

საკრებულო - 66099.65 ლიტრი, ღირებულება 85552.31 ლარი;

სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახური - 3498.45 ლიტრი, ღირებულება 7434.03 ლარი;

რეზერვი - 3099.09 ლიტრი, ღირებულება 4710.5 ლარი;

საერთო ჯამით სულ - 168341.3 ლიტრი, ღირებულება 223705.43 ლარი;

ბალანსიდან ჩამოწერილი იქნა 9 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, შეძენილი იქნა 3 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი და 4 ერთეული სპეცტექნიკა.

მეზობელ მუნიციპალიტეტს გადაეცა 2 ცალი ნაგავმემკრები და 150 ცალი ურნა.

მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ და ნომრის ამომცნობი კამერების ინსტალაციის პროცესი.

იურიდიული სამსახური

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

ა) მომზადებული იქნა მერიის თანამდებობის პირების **6 331** ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის - ბრძანების პროექტები.

ბ) კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა **18 (თვრამეტი)** მოქალაქის განცხადება და მიღებული იქნა გადაწყვეტილებები საერთოსაცხოვრებელ სახლებში არსებული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

გ) შემუშავებული იქნა **25** ნორმატიული აქტის და **45** ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის-განკარგულების პროექტი, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

დ) შედგენილი იქნა სხვადასხვა სახის **90** ხელშეკრულების პროექტი;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მივიღეთ **30** საქმის სასამართლო განხილვაში. რომლებზეც ჩვენს მიერ შედგენილი იქნა (შესაგებლები) და შესრულებული იქნა ყველა საპროცესო მოქმედებები.

ვ) სამსახურის მიერ განხილული იქნა **5 (ხუთი)** ადმინისტრაციული საჩივარი, აქედან დაკმაყოფილდა **2 (ორი)** ადმინისტრაციული საჩივარი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, ხოლო **3 (სამი)** ადმინისტრაციული საჩივარის დაკმაყოფილებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება-უარის თქმის შესახებ;

ზ) განხილული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, განყოფილების სფეროს მიკუთვნებული, შემოსული **366 (სამას სამოცდაექვსი)** განცხადება და ყველა მათგანზე მომზადდა წერილობითი პასუხი.

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებასა და სარგებლობის უფლების გაცემასთან დაკავშირებით **27** საქმეზე მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია;

ი) „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2016 წლის 27 მაისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის მიზნით, მერიაში შეიქმნა პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, სადაც კომისიის საქმიანობაში ჩართულია სამსახური, სამსახურის მიერ მომზადდა **5** სამართლებრივი აქტის პროექტი და ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს დაუდგინათ ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის, აღნიშნულის საფუძველზე სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაიცა პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;

კ) განყოფილება მონაწილეობას ღებულობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობაში.

2. სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

ა) სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოების პროცესში განყოფილებამ გამოავლინა **19** სამშენებლო სამართალდარღვევა, რის თაობაზეც გამოიცა შესაბამისი სამართლებრივი აქტი სანებართვო პირობებისა და საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის პირის დაჯარიმების თაობაზე, ჯარიმის ოდენობამ შეადგინა **195 200** ათ. ლარი;

ბ) ექსპლუატაციაში იქნა მიღებული მშენებლობა დასრულებული **74** ობიექტი რის თაობაზეც გამოიცა შესაბამისი სამართლებრივი აქტი;

გ) განყოფილების მიერ შედგენილი შემოწმების აქტის საფუძველზე მშენებლობის ვადა გაუგრძელდა **46** მშენებარე ობიექტს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N660 ბრძანებულების შესაბამისად განობრციელდა უპროექტოდ და უნებართვოდ აშენებული **10** შენობა-ნაგებობის ლეგალიზაცია;

ე) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების პროცესში გამოვლენილი იქნა **63** ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რის თაობაზეც გაფორმდა შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმები;

ვ) მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავებასთან დაკავშირებით განხილული იქნა **25** მოქალაქის განცხადება, რაზედაც განყოფილების მიერ გაიცა შესაბამისი მითითებები და გაფრთხილებები;

ზ) განხილული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული, ზედამხედველობის განყოფილების სფეროს მიკუთვნებული **628** განცხადებადა, საიდანაც შესრულდა **480**, ხოლო **148** განცხადებაზე მიმდინარეობს საქმის წარმოება.

✓ სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

დელეგირებულ უფლებამოსილების ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა **76** წვევამდელი.

მათ შორის:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო სავალდებულო სამსახურში - **33** წვევამდელი;

2. იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამხედრო სამსახურში - **22** წვევამდელი;
3. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში - **19** წვევამდელი,
4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში - **1** წვევამდელი
5. არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში - **1** წვევამდელი.

2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო გამწვევ კომისიაზე სულ გამოძახებული იქნა **3 271** წვევამდელი.

2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო გამწვევის პერიოდში ჩატარდა 31 გამწვევი კომისიის სხდომა. სხდომაზე გამოცხადდა **585** წვევამდელი;

მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონით მიეცა გადავადება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან - **349** წვევამდელს.

ჯანმრთელობის მიხედვით ერთ წლამდე - 15

ცნობილი იქნა შეზრუდულად ვარგისად - 49

როგორც სტუდენტს - 143

როგორც სკოლის მოსწავლეს - 56

ორშვილიანს - 14

ყავს ერთი შვილი - 25

არის მღვდელმსახური - 14

არის დედისერთა - 33

1. განთავისუფლდა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან - 13 წვევამდელი.

ქ. თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში **21** ეტაპად გადაყვანილი იქნა **262** წვევამდელი

პოლიციაში გადაცემული იქნა კომისიაზე გამოსაცხადებელი **198** წვევამდელის მონაცემები, რის შედეგად კომისიაზე გამოცხადდა **25** წვევამდელი.

მ.წ 11თვის განმავლობაში გაიცა **192** წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

აყვანილი იქნა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე 2002 წელს დაბადებული **367** წვევამდელი.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „ საქართველოს კანონის მუხლი 21 პუნქტი 3 (ზღვრული ასაკი) საფუძველზე რეზერვში გადაირიცხა **320** წვევამდელი.

11 თვის განმავლობაში შემოსულია **767** და გასულია **372** წერილი

შემოსულია **83** და გასულია **20** წვევამდელთა პირადი საქმეები .

გაწვევის განყოფილებაში აღრიცხვაზეა **3 186** წვევამდელი;

სარგებლობს სამხედრო სამსახურიდან გადავადებით **1 504** წვევამდელი.

გასაწვევი კონტიგენტია **1 606** წვევამდელი.

მობილიზაციის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია ზღვრულ ასაკის მიღწეულ **320** პირზე.

- აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზირებულ **176** პირზე.

- შეიარაღებული ძალების საკონტრაქტი (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა **26** პიროვნება. მათზე მოძიებული იქნა სათანადო მასალები და შედგენილი იქნა პირადი საქმეები.

-აქტიურ სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩაირიცხა **3** პიროვნება. მათზე მოძიებული იქნა სათანადო მასალები და შედგენილი იქნა პირადი საქმეები.

- რეგისტრაციის მისამართის ცვლილებების გამო აღრიცხვიდან მოიხსნა და შესაბამის რეგისტრაციის მისამართზე გადაიგზავნა **48** რეზერვისტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

- გაცემული იქნა რეზერვისტის **101** მოწმობა.

- შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები ქალაქისა და სოფლების მიხედვით სამობილიზაციო რეზერვის შემადგენლობაში, სამოქალაქო რეესტრიდან მოწოდებული მონაცემების შესაბამისად.

- კანონმდებლობის საფუძველზე ასაკობრივი ზღვრების მიხედვით აღრიცხვიდან იქნა მოხსნილი რეზერვისტთა ნაწილი.

- დამუშავდა თავდაცვის სარდლობის შტაბის G-1 სამსახურიდან გადმოგზავნილი საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურიდან დემობილიზირებულთა **29** პირადი საქმე და მათზე სამხედრო წოდებათა მიხედვით შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია

- ძალოვანი სტრუქტურებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები სპეციალურ აღრიცხვის კარტოტეკაში.

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მომართვის საფუძველზე სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობებისა და კოდების მიხედვით, სარეზერვო ბატალიონში ჩარიცხვის მიზნით, დამუშავდა 72 ოფიცრისა და 125 სერჟანტის პირადი საქმე. შედგენილი და გადაგზავნილი იქნა სათანადო სიები მითითებული მონაცემებით.

- შედარებული იქნა ოფიცრებისა და სერჟანტების კარტოტეკა სააღრიცხვო მონაცემებთან.

- სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს გადაეგზავნა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე) სამობილიზაციო რეზერვში რიცხული 19-დან 60 წლის ასაკამდე რიგითთა, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობის ანგარიში.

- სასამართლოდან გადმოგზავნილ განაჩენთა საფუძველზე ცვლილებები იქნა შეტანილი მსჯავრდებულთა კარტოტეკაში.

- მომსახურეობა გაეწია სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეებსა და მათი ოჯახის წევრებს მათთვის საჭირო ინფორმაციისა და მასალის მისაწოდებლად.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბერს #16 დადგენილებით „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური“ დაკომპლექტდა ორი განყოფილებით:

1. შიდა აუდიტის განყოფილება.
2. ინსპექტირების და ანალიტიკური განყოფილება

შიდა აუდიტის განყოფილება.

2019 წელს მერის მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად, დაგეგმილი იყო 7 ობიექტის, მათ შორის, მერიის 2 სტრუქტურული ერთეულის, 2 შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოების (შპს) და 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შიდა აუდიტორული შემოწმება.

2019 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით შემოწმებულია 6 ორგანიზაცია, შემოწმების შედეგად გაცემულია 61 რეკომენდაცია, მიმდინარეობს გაცემულ რეკომენდაციებზე შესრულების მონიტორინგი.

ინსპექტირებისა და ანალიტიკური განყოფილება.

ინსპექტირებისა და ანალიტიკური განყოფილებაში დასაქმებულია 3 თანამშრომელი. განყოფილება ახორციელებს:

დაწესებულების სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივ კონტროლს, დაწესებულების სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის, გადაცდომის ფაქტებისა და კომპეტენციის ფარგლებში, სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენას, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებების მათ შორის საჩივრების, შეტყობინებების, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მხილების და სხვა სახის ინფორმაციის შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას.

დაწესებულების სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა მიერ გადაცდომის ფაქტებზე, დადგენილი წესით, სამსახურებრივი შემოწმების/დისციპლინური წარმოების განხორციელებას სამსახურებრივი შემოწმების/დისციპლინური წარმოების შედეგების შესახებ აქტის/დასკვნის შედგენას.

კომპეტენციის ფარგლებში, დაწესებულების სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას.

სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით განყოფილებამ განახორციელა 3 მოკვლევა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია, რომ დაწესებულებამ თავის მიზნებს მიაღწიოს საბიუჯეტო სახსრების კანონიერი, გამჭირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენებით.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ა.(ა.)იპ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი

აღზრდის ცენტრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში გაერთიანებულია 43 საბავშვო ბაღი (იგეგმება ახალი ბაღის გახსნა ნასაკირალში (დვაბზუ) 2670 აღსაზრდელი და 845 თანამშრომელი.

2019 წლის სკოლამდელი აღზრდის ბიუჯეტი შეადგენს 4 250 000. თანამშრომელთა ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრება 212 940 ათ ლარით (წლიური 2 555 280 ლარი)

ერთი ბავშვის თვის საერთო ხარჯი განისაზღვრება 125 ლარის ოდენობით. აქედან 73 ლარი შეადგენს მხოლოდ ბავშვის კვებას. (ერთი ბავშვის კვების დღიური ნორმა განისაზღვრება 3ლ. 30 თეთრის ოდენობით)წელიწადში კი იგი შეადგენს 1 300 000 ლარს (ბავშვთა ყოველდღიური გამოცხადების მიხედვით.

წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ ბაღებისთვის შეძენილი იქნა 94 200 ლარის ინვენტარი (კარადები, მაგიდები, სკამები, საწოლები, თაროები, სტელაჟები) შესაბამისად ბაღებში განახლდა ინვენტარი.

ასევე ბაღებს გადაეცათ 18 000 ლარის ღირებულების რბილი ინვენტარი და ქსოვილი (ლუბი, საბანი, პლედი, ხალიჩა, დეზობარიერი)

25 200 ლარის ტექნიკა (მაცივრები, გაზქურები, გამწოვები ჯგუფებში წყლის გამაცხელებლები) შესაბამისად მოხდა აღნიშნული ტექნიკის დამონტაჟება.

ახალი ჭურჭლით განახლდა საბავშვო ბაღები, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 10 200 ლარს.

აგრეთვე 15 000 ლარის საკანცელარიო საშუალებები გადაეცათ ბაღებს (თაბახი ფურცლები, ფერადი ფანქრები, გუაში, თიხა, წებო და ა.შ.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგი ჩატარდა და გადამზადდა ყველა ბაღის აღმზრდელი, ფსიქოლოგი და სპეც. მასწავლებელი . ტრენინგის თემა იყო: „ სკოლამდელი ინკლუზიური განათლება და თამაშის მნიშვნელობა ბაღებში“. პირველ ეტაპზე ტრენინგი გაიარა პირველი ცვლის აღმზრდელებმა. ასევე გადამზადდა ბაღის მენეჯერები, თემა გახლდათ „ სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრირება და თანამედროვე მეთოდიკა სკოლამდელ დაწესებულებაში“.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ მოეწყო მშობელთა საინფორმაციო შეხვედრა ქალაქის № 4 საბავშვო ბაღში დაწესებულებათა რეგულაციების გაცნობის მიზნით. პასუხები გაეცა მშობელთა მიერ დასმულ შეკითხვებს, როგორც კვებისა და მენიუს მიმართებაში, ასევე საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საკითხებში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში სასწავლო- საგანმანათლებლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებითაა დატვირთული. სწავლება მიმდინარეობს ბავშვის განვითარების სტანდარტით გათვალისწინებული სფეროების მიხედვით.

2019 წელს ასევე ოზურგეთის საბავშვო ბაღებში დაინერგა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის „ სკოლამდელი განათლების სისტემურ ცვლილებების მხარდაჭერა საქართველოში“. გათვალისწინებული რეკომენდაციები, მათ შორის საბავშვო ბაღების ეზოების მოწყობა ე. წ სენსორული ბილიკებით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა სენსომოტორულ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

მყარი ნარჩენების მართვა

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი

მომსახურების ცენტრის მიერ ყოველდღიურად სუფთავდება ქალაქ ოზურგეთში არსებული 23 ქუჩა, 6 მოედანი, 6 სკვერი და ბაღი, სუფთავდება ქალაქის ცენტრის მიმდებარედ არსებული ქუჩები 300 000 კმ. ფართობი.

პერიოდულად ხდებოდა მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზებისა და სოფლების ცენტრალური მოედნების დაგვა-დასუფთავება (112 000 მეტრი). გაიწმინდა 52 800 მეტრი სანიაღვრე არხი და ქალაქის ტერიტორიაზე ჩამდინარე მდინარეების კალაპოტები, ნაგავსაყრელზე გადატანილი იქნა 9 043 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი .

მომსახურების ცენტრის მიერ გაიცემა 138 ჰექტარი ტერიტორია, შხამქიმიკატებით დამუშავდა 11 ჰექტარი ფართობი, 175 ხეს ჩაუტარდა სანიტარული ჭრა, 414 მ³ მოცულობით დამუშავებული შემა დაურიგდა 134 სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეს, 4 400 ნარგავს ჩაუტარდა აგროტექნიკური სამუშაოები, მინერალური სასუქებით გამოიკვება 3 200 ძირი ნარგავი, შეთეთრდა 1 260 ძირი ხე.

სისტემატურად ხდებოდა ქალაქში გამავალი მდინარის კალაპოტის წმენდა და წყალსაწრეტი არხების მიმდებარე ტერიტორიების გაცელება

შეიღება ქალაქ ოზურგეთის ბაღებსა და დაბა ურეკის ბულვარში არსებული 46 სკამი, დამზადდა და აღდგენილ იქნა 41 პატარა ურნა, გარემონტდა და გისოსები დაყენდა კინოთეატრის კარებებსა და ფანჯრებზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭადრების ბაღში არსებულ შადრევანს, გასუფთავდა ქალაქ ოზურგეთში კორპუსების ჟოლობები და წყალსაწრეტი მილები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 115 მ სიგრძის ბორდიულს, ასევე აღდგენილი იქნა სანიაღვრე არხებზე არსებული ცხურები, შეკეთდა 32 სანაგვის ურნა, შეიღება 250 მეტრი სიგრძის ბორდიული.

მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელში შეიცვალა 11 100 მ. ელ სადენი, 10 613 ცალი ეკო და 1 200 ცალი სოდიუმის ნათურა , 67 ელექტრომრიცხველი, 757 დროსელი , 185 ფოტოთვალი , 121 ცალი ავტომატური ამომრთველი, 104 მაგნიტური გამშვები, 358 ცალი იგნიტორი, 910 ცალი ფაიფურის ბუდე, 217 ცალი კრონშტეინი და 173 ცალი ლამპიონის კორპუსი .

მექანიზაციის მიერ გაიწმინდა და გატანილ იქნა სოფლების შიდა გზების და საყანე ფართობების გასწვრივ არსებული სანიაღვრე არხები.

გასწორდა დამეწყრილი გზები, მოხდა სოფლის შიდა გზებზე ბალასტის შეტანა და მისი გასწორება.

სისტემატურად ხდებოდა მდინარის გასწორხაზოვნება (წითელმთა, დვაბზუ, ჯუმათში მდინარე ბოგილა, ლიხაურში მდინარე აჭი.)

წყალმომარაგება

შ.პ.ს „სატისი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2016 წლის 11 იანვარს დაფუძნდა სოფლის წყალმომარაგების კომპანია შპს „სატისი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 100% ფლობით.

კომპანიის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 480 000 ლარს.

2019 წელს I კვარტალში დაბა ნასაკირალში შეიცვალა ტუმბო.

ტექნიკური სამსახურის მიერ კომპანიის ბალანსზე რიცხულ წყალმომარაგების ქსელზე აღმოფხვრილი იქნა 143 დაზიანება, ასევე სოფელ ბახვში 20 დაზიანება, სოფელ ლიხაურში 25 დაზიანება და ანასეულის დასახლებაში - 14 დაზიანება.

კომპანიის ლაბორატორიის მიერ ჩატარდა, როგორც სათავე ნაგებობაზე ასევე გამანაწილებელ ქსელში წყლის ხარისხის კვლევა 59 ანალიზი.

შემოსავლების სამსახურის მიერ მიმდინარეობს კომპანიის ბალანსზე გადაცემული სოფლების ბილინგის ბაზის რეგულარული განახლება.

2019 წელს კომპანიის მიერ შესყიდული იქნა მარაგი მასალები ღირებულებით 27 504 ლარი, შეძენილი მომსახურების თანხამ შეადგინა 20 557 ლარი.

ძირითადი აქტივები შეადგინს 3 749 178 ლარს.

დღეის მდგომარეობით სოფელ ლაითურში მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს წყალსადენის სისტემების სრული რეაბილიტაცია, ექსპლატაციაში შესვლის სავარაუდო ვადა 2019 წლის შემოდგომაა, პროექტი ითვალისწინებს 950 ოჯახის 24 საათიან წყალმომარაგებას.

ა.(ა)ი.პ. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 9 თვეში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ მომსახურებულ იქნა 2 500-ზე მეტი მკითხველი, მ/შორის 621 ბავშვი. მათზე გაცემულია 19 418 წიგნი, ჟურნალი და გაზეთი.

ბიბლიოთეკის მკითხველთა ძირითადი შემადგენლობა საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან, ასევე სტუდენტები, პენსიონერები და სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები.

ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის ჩატარდა საინტერესო ღონისძიებები: საშობაო საღამო, ზღაპრის დღე ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციერებისათვის, ფსიქოლოგსა და იურისტთან ერთად ჩატარდა საუბარი თემაზე „ბულინგი სკოლასა და ოჯახში“, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად აღინიშნა დედის დღე. მოეწყო გამოფენა „ეს ჩემი საქართველოა“ და „რარიტეტული წიგნები“. ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქალაქის, ისე სოფლების საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული და აღინიშნა 30 აპრილი-ბიბლიოთეკის დღე.

კვირეულის ფარგლებში მოეწყო ქუთაისელი პოეტის ბექა ქებულაძის შემოქმედებითი საღამო, ბათუმში მოღვაწე ოზურგეთელი პუბლიცისტის გენრიეტა ქუთათელაძის შემოქმედებითი საღამო. პროექტის „ნაბიჯი წიგნისკენ“ ფარგლებში სისტემატურად ტარდება

ღონისძიებები პატარა მკითხველებისათვის, ხშირი სტუმრები არიან საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების უმცროსი ასაკის აღსაზრდელები.

ბავშვთა დაცვის დღეს 1 ივნისს მოეწყო შეხვედრა 1 ივნისს დაბადებულ ბავშვებთან. ასევე გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან ერთად მოწვეული იყვნენ ყოფილი პატიმრების შვილები, რომლებსაც გადაეცათ სასკოლო ნივთები.

სასოფლო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებისათვის ჩატარდა ტრენინგი მათთვის აუცილებელ პროფესიულ საკითხებთან (სამუშაო გეგმების, წლიური ანგარიშების შედგენა) დაკავშირებით.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად ტარდება ღონისძიებები და ტრენინგები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე. ჩატარდა იმიტირებული გამოცდები საქართველოს უნივერსიტეტის აბიტურიენტებისათვის, სახალხო დამცველის შეხვედრა ახალგაზრდობასთან, გურიაში მოღვაწე მწერალთა შეხვედრა მწერალ ბადათერ არაბულთან, რეგიონალური ტურნირი ჭადრაკში, ტრენინგები ი/მეწარმეებისათვის, საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, პოლიციელებისათვის, საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

ცენტრალური და სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის თვეში შეძენილია 2375 ლარის წიგნი, გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები, სასოფლო ბიბლიოთეკებს მიეწოდება ადგილობრივი გაზეთები

ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონულ კატალოგიზაციაზე.

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის 2019 წლის ანგარიში

გასტროლები, ფესტივალები, სპექტაკლები.

პ რ ე მ ი ე რ ე ბ ი :

1. ა. ეგზიუპერის „პ ა ტ ა რ ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი“. რეჟისორი მამუკა ბაბილოძე, პრემიერა შედგა მ/წლის 1 მარტს, გურიანთის კულტურის სახლში.
2. გ. ნახუცრიშვილის „ჭ ი ნ ჭ რ ა ქ ა“. რეჟისორი ოთარ კუტალაძე, პრემიერა შედგა მ/წლის 27 მარტს, გურიანთის კულტურის სახლში.
3. ა. პეტროვა „კ ო ც ნ ა“. რეჟისორი ნევენა მიტევა- (კულტურის სამინისტროს თანადაფინანსება 10000 ლარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსება 20000 ლარი).
პრემიერა შედგა 19 აპრილს, ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში,

ესწრებოდა 400 მაყურებელი - სრული ანშლაგი.

4. ა. ვარსიმაშვილის სცენური ვარიანტი „ზ ა მ თ ა რ ი ი გ ი.“ რეჟისორი კახა გოგიძე, პრემიერა შედგა 11 ივნისს, გურიანთის კულტურის სახლში.
5. ა. ლინდგრენი „პ ე კ ი გ რ ძ ე ლ ი წ ი ნ დ ა“ რეჟისორი რ. ბაინაზიშვილი, პრემიერა შედგა მ/წლის 5 ივლისს, ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის ღია სცენაზე. ესწრებოდა 600 მაყურებელი.
6. ელენე მაცხოვნაშვილის საავტორო სპექტაკლი „ფ ი რ ო ს მ ა ნ ი“, პრემიერა შედგა 4 ოქტომბერს, ოზურგეთის ფოლკლორის სასახლეში,

ესწრებოდა 160 მაყურებელი-სრული ანშლაგი.

7. თ. მელაშვილის „წ ე რ ი ლ ი ლ ი ა ს“ რეჟისორი ელენე მაცხოვნაშვილი, პრემიერა შედგა მ/წლის 9 ოქტომბერს, ოზურგეთის ფოლკლორის სასახლეში,

ესწრებოდა 160 მაყურებელი-სრული ანშლაგი.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ჯგუფ „ქართუს“ დაფინანსებით მიმდინარეობს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. თეატრის კაპიტალური რეკონსტრუქცია 2020 წელს უნდა დასრულდეს.

წლის განმავლობაში დასმა 128 სპექტაკლი ითამაშა, რომელსაც 20 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

გასტროლები:

1. 2019 წელი 10-28 მაისი
ბულგარეთი, შუმენის „ახალი ბულგარული დრამის“ ფესტივალი-16 მაისი ა. პეტროვას „კოცნა.“
2. ბულგარეთი, ვრაცა - მცირე დრამატული ფორმების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი-18 მაისი
ა. პეტროვას „კოცნა.“

ბულგარეთში ზემოთ აღნიშნულ თეატრალურ ფესტივალებზე მსახიობი თამარ მდინარაძე დაჯილდოვდა პრემიით -ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, ხოლო ოზურგეთის თეატრის სპექტაკლს „კოცნა“ გადაეცა სპეციალური პრიზი-ბულგარული დრამატურგიის საუკეთესო ინტერპრე -ტაციისათვის.

3. უკრაინა, ქ. ხერსონი „მელპომენე ტავრია“ს XXI საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ა. პეტროვას „კოცნა“ 22 მაისი.

აღნიშნულ თეატრალურ ფესტივალზე მსახიობმა თამარ მდინარაძემ ასევე დაიმსახურა პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

4. უკრაინაში თეატრალური ფესტივალის შემდგომ გაგრძელდა საგასტროლო ტურნე ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან დამეგობრებულ ქალაქ გენიჩესკში.
აღნიშნული საფესტივალო - საგასტროლო ტურნე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა .
5. დასმა მონაწილეობა მიიღო ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ა. პეტროვას სპექტაკლით „კოცნა“, ამავე ფესტივალის ფარგლებში ოზურგეთის თეატრმა ახალციხის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს უმასპინძლა.
6. მიმდინარე წლის 12 სექტემბერს თურქეთში, ქ. სტამბულში მალთეპეს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გაიხსნა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის 152-ე თეატრალური სეზონი სპექტაკლით ა. პეტროვას „კოცნა“. აღნიშნულ ფესტივალზე ოზურგეთის თეატრი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით, ხოლო მსახიობი თამარ მდინარაძე ფესტივალის მთავარი პრიზით ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.
7. ახალციხის ეროვნული დრამატურგიის V საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ოზურგეთის თეატრალურმა დასმა ითამაშა სპექტაკლი, ა. ვარსიმაშვილის სცენური ვარიანტი „ზამთარი იგი...“.
8. ბულგარეთში, ქ. სოფიაში „ალტერ ეგო“ს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი მიწვეული იყო მ/წლის 24 ოქტომბერს, სადაც წარმოვადგინეთ ელენე მაცხოვნაშვილის საავტორო სპექტაკლი „ფიროსმანი“. ჟიურის გადაწყვეტილებით სპექტაკლი აღიარეს, როგორც ფესტივალის საუკეთესო ნამუშევარი.
აზერბაიჯანში, განჯის სახელმწიფო თეატრთან, მეგობრობის ეგიდით 6, 7 და 8 დეკემბერს ჩატარდა საგასტროლო ტურნე. ვაჩვენეთ ა. ლინდგრენის „პეპი გმელიწინდა“ და ელენე მაცხოვნაშვილის საავტორო სპექტაკლები.

კავშირები

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი დამეგობრებულია საზღვარგარეთის თეატრებთან და ფესტივალებთან, რომლებთანაც გაფორმებული აქვს მეგობრობის მემორანდუმები. მათ შორის:

- ლიეტუვას რესპუბლიკა, ქ. შაულაის სახელმწიფო თეატრთან,
- ბულგარეთი, გაბროვოსა და შუმენის სახელმწიფო თეატრებთან და

საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებთან,

-თურქეთი, ქ. სტამბული, მალთეფეს თეატრთან და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალთან,

-უკრაინა, ხერსონის დრამისა და მუსიკის აკადემიურ თეატრთან და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალთან- „მელპომენე ტავრია“,

-სასომხეთი, ქ. ვანაძოლის (კიროვაკანი) სახელმწიფო თეატრთან,

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში თურქეთში,

ქ. სტამბულში, მალთეფეს საერთაშორისო ფესტივალის მსვლელობის დროს ოზურგეთის თეატრის ინიციატივითა და შვიდი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, ევრაზიის თეატრების კავშირი დაფუძნდა.

ამჟამად, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი მუშაობს საშობაო-საახალწლო შოუ პროგრამაზე - ერნესტო თეოდორ ჰოფმანის მოთხობის „მაკნატუნა“ს მოტივებზე შექმნილ სპექტაკლზე „შობის ჯადოსნური ღამე“. სცენური ვერსია ლალი თაბაგარსა და ვასო ჩიგოგიძეს ეკუთვნის.

ა.(ა).ი.პ. კულტურისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრი

2019 წლის ანგარიში

ა.(ა).ი.პ. კულტურისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 870 000 ლარს.

ტურიზმის განყოფილება - 6 000 ლარი;

სარეკრეაციო განყოფილება - 8 000 ლარი;

კულტურის განყოფილება - 16 990 ლარი;

მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილება - 6 000 ლარი;

ანსამბლებისთვის ფორმების, ინსტრუმენტების, საოფისე ავეჯის და ტექნიკის შეძენა ;

განხორციელებული ღონისძიებები

- ✓ შეხვედრა საქველმოქმედო ასოციაცია "გურიას" ბენეფიციარებთან;
- ✓ სოფელ ნატანების კლუბის ღონისძიება;
- ✓ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიება;
- ✓ ანსამბლ "ელესას" წიგნის პრეზენტაცია;
- ✓ ანსამბლ „შვიდკაცას“ 60 წლის იუბილე და ვარსკვლავის გახსნა;
- ✓ საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჭადრაკში;
- ✓ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ;
- ✓ ანსამბლ „რეხეულის“ საანგარიშო კონცერტი ;
- ✓ „ზღაპრის კვირეული“ ;
- ✓ საერთაშორისო ფესტივალი „საირმე 2019“
- ✓ გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორული ფესტივალი ;
- ✓ ფესტივალი „არტ-გენი“ ;
- ✓ „ცოცხალი წიგნები“ ;
- ✓ გომისმთობა 2019“
- ✓ ვეტერან ქორეოგრაფთა, მომღერალთა და მუსიკოსთა კონცერტი ;

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში შედის ისტორიულ მუზეუმთან ერთად სოფლის მუზეუმები: დვაბზუს ეთნოგრაფიული მუზეუმი, ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლ - მუზეუმი, გურიანთის მემორიალური მუზეუმი და ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი.
- ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 182 000 ლარს, მათ შორის სახელფასო 154 322 ლარს.
- მიმდინარე წლის ივნისის თვეში დაიწყო ისტორიული მუზეუმის შენობის სრული რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდება 2020 წლის მარტში. მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების საექსპოზიციო და საკონფრენციო დარბაზები, ანტრესორი, კარადა-ვიტრაჟები, განათების სისტემა და კლიმატ -კონტროლი.
- ცხემლისხიდის გიორგი სალუქვაძის სახელობის მუზეუმში ჩატარდა ტრადიციული კალანდობის დღესასწაული;
- სამუზეუმო გაერთიანებამ მოაწყო შეხვედრა ნიაზ ბოლქვაძესთან. ნიაზ ბოლქვაძე არის 2019 წლის ნობელის პრემიის ნომინანტი მშვიდობის დარგში, პირველი ქართველი, ვინც ნობელის პრემიაზე ჩვენს ქვეყანას წარადგენს;
- გაიმართა ყოველწლიური სამეცნიერო ნაშრომების განხილვა;
- დავაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით გაიმართა ლექცია-სემინარები თემაზე - „მოგზაურობა აჭარა-გურიის რუკაზე.“
- ფონდით სარგებლობა

დამოუკიდებელმა მაძიებლებმა და მკვლევარებმა ისარგებლეს ფონდში დაცული ფოტო - დოკუმენტური მასალით ;

- **14 აპრილს** ქართული ენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება „ო, ენაჰემო, დედაო ენაჲ“...
- **დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში** გაიმართა ინტეგრირებული გაკვეთილები საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით;
- **ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში** გაიმართა ღონისძიება „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ;
- **14 მაისს** ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფილიალებში, მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული დაიწყო - **გურიანთის მემორიალური მუზეუმიდან** მუზეუმის თანამშრომლებმა IV - VIII საუკუნის ძეგლზე -ციხე ქალაქ ვაშნარში ჩაატარეს გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი;
- **18 მაისს** აღნიშნა **ეროვნული სამოსის დღე**. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებამ. მოაწყო ფოტო გამოფენა, მუზეუმის ექსპოზიციიდან გამოტანილი იქნა ძველ, ეროვნულ ტანსაცმელებში გამოწყობილი გურული ტიპაჟები;
- **18 მაისს ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების** ორგანიზებით, დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართა მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **დვუაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში** საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება „გურული კარმიდამო“, სადაც განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 1) გურული წნელის ღობის და წნის სწავლება; 2) კვერის გამოცხობის სწავლება სამზადისში შუაგვეცხლზე; 3) გურული კარმიდამოს დათვალიერება, ბეღელის, ნალიას და სამზადისის დანიშნულების ახსნა; 4)მარანი-ღვინის დაყენების ტექნოლოგიის გაცნობა, საწნახელის დანიშნულებისა და დამზადების ტექნოლოგიის გაცნობა;
- მუზეუმს პერიოდულად სტუმრობდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები.
- გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-X საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი გაიხსნა. კონკურს-ფესტივალში უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და ესტონეთის ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლები , ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ;
- **გურიანთის მემორიალურ მუზეუმში** ჩატარდა სკოლის მოსწავლეებთან გეგმიური გაკვეთილები, რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლებას და გურიანთის ისტორიის გაცნობას;

შ.პ.ს. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“

შ.პ.ს. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალს“ 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოეყო 213 900 ლარი, ასევე შპს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საფეხბურთო გუნდი ფინანსდება საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 50 000 ლარით. სხვა ხარჯები: (კვება,ინვენტარი,სამედიცინო,საწვავი) - 18000 ლარი;

2019 წელს შ.პ.ს.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონ-ლიგის გათამაშებაში.

2019 წელს „მერცხალმა“ ჩაატარა 18 შეხვედრა, აქედან 11 გამარჯვება, 2 ფრე და 5 წაგებით დაიკავა ისევ მეორე ადგილი .

„მერცხალის“ ბაზაზე ფუნქციონირებს ბავშვთა ფეხბურთის 5 ასაკობრივი ჯგუფი (სულ 250 ბავშვი), რომლებიც წარმატებით მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატის სხვადასხვა გათამაშებებში.

საფეხბურთო კლუბ „მერცხალში“ 2019 წელს დასრულდა და მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ;

1. შეკეთდა და შეიღება ცემენტის ღობის შიდა და გარე ფასადები.
2. ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟდა ელ.განათების ბოძები, რომელზეც მოეწყო ღამის ლამპიონები.
3. საქვამეს ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები. შეძენილ იქნა საჭირო მოწყობილობები.
4. ადმინისტრაციულ შენობაში,ასევე ლოჯაში დამონტაჟდა სკამები.
5. სტადიონისა და მის გარშემო მოეწყო და დამონტაჟდა წყალგაყვანილობის სისტემა.
6. შენობის შიგნით აღდგენილი და მოწესრიგებული იქნა ელ. გაყვანილობა და სველი წერტილები.
7. მიმდინარეობს წყლის სადრენაჟო სისტემების დამონტაჟება და სხვადასხვა მიმდინარე შეკეთებები.

✓ საერთაშორისო და მუნიციპალიტეტაშორისი თანამშრომლობა

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვასა და ევროპული გამოცდილების გაზიარებას. საერთაშორისო და მუნიციპალიტეტაშორისი თანამშრომლობის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან დელეგაციები, მერის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლიეტუვასა და ჩეხეთში, დაიგეგმა და განხორციელდა ერთობლივი პროექტები.

გაიზარდა დამეგობრებული მუნიციპალიტეტების რიცხვი. გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები უკრაინის ქალაქ გენიჩესკსა და ბოიარაკას, ასევე ლიეტუვის როკიშკის შორის. ოზურგეთსა და გენიჩესკის ურთიერთობა სათავეს 1938 წლიდან იღებს. თანამშრომლობა, რომელიც თითქმის საუკუნეს ითვლის, ბევრ საინტერესო ისტორიას და წარსულში წარმატებული კავშირების არაერთ ფაქტს ინახავს, რომელიც 1988 წელს შეწყდა. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს: მხარეებს შორის კულტურის და ისტორიის სფეროში ინფორმაციის გაცვლა, ახალგაზრდების კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ქალაქების ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გამოცდილების გაზიარება, ჯანმრთელობის, მრეწველობის მშენებლობის, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის, ვაჭრობის, ასევე მეცნიერებისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, გამოცდილების გაზიარება სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვით საკითხებში.

დასასრული

მუნიციპალიტეტის წარმატებით თანამშრომლობს და მჭიდრო კავშირები აქვს გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან და სხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და ცენტრალურ მედიასამუშალებებთან.

მინდა მაძლიერება გამოვხატო მერიის ყველა თანამშრომლის, ა(ა)ი.პ. ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მათი თანამშრომლების მიმართ. თანადგომისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას, თითოეულ სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ნაყოფიერი და პრაქტიკული თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით „მუნიციპალური განვითარების ფონდს,“ „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას,“ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას,“ „ადგილობრივ 24 თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას“ ასევე „ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.“

მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალურ შესყიდვებში მონაწილე ყველა კეთილსინდისიერ კომპანიას, რომლებიც ზედმიწევნით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მინდა წარმატებები ვუსურვო ოზურგეთში მოღვაწე ბიზნესმენებს, კომპანიებს და მეწარმეებს.

მადლობას ვუხდით მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. უღრმესი მადლობა ამომრჩევლებს ნდობისა და ერთგულებისთვის!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

კონსტანტინე შარაშენიძე

20.12.2019

